საქართველოს რესპუბლიკა

იმისთანა წმინდა საქმეში, რომელიც ბოჭდეული სიფცვაა, ფცეილებით და ჯოხებით ბუნთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 10 დეკემბერი, 2014 წელი.

№249 (7629)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

გადამდგარი „ბიჭები“ პოლიტიკოსები არ არიან!

3

სად გაქრა კახა შარტავა

საქართველოს პრემიერ-მინისტრის პრესკონფერენცია

ლარის სტაბილიზება ეროვნული ბანკის ჩარევის გარეშე მოხდა

წელს საქართველოს ეკონომიკური ზრდა 5 პროცენტს გადაჭარბებს, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

მისი თქმით, მსოფლიო ბანკის პროგნოზით საქართველოს მომავალ წელს ყველაზე მაღალი ეკონომიკური ზრდა ექნება. საქართველოს მოსახლეობა უნდა დარწმუნდეს, რომ ჩვენ ყველაფერს ვაკონტროლებთ. ლარს არავითარი საფრთხე არ ემუქრება, პირიქით, ველოდებით, რომ უახლოეს დღეებში ის კიდევ უფრო გამყარდება.

პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ინფორმაციით, გასულ წელთან შედარებით საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა 99 პროცენტითაა გაზრდილი. „დღეს გახდა ცნობილი, რომ მესამე კვარტალში საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ შეადგინა 508 მილიონი აშშ დოლარი, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 99 %-ით აღემატება“.

პრემიერმა ლარის გაუფასურების მიზეზები განმარტა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი იმ საგარეო და საშინაო ფაქტორებს განმარტავს, რამაც ლარის გაუფასურებაზე გავლენა მოახდინა. საშინაო ფაქტორი იყო ის, რომ ოპონენტების მხრიდან „მიზანმიმართული პანიკა“ ითესებოდა.

„მინდა მოსახლეობას მივაწოდო ინფორმაცია რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხზე. როგორც ხედავთ, ლარის კურსთან დაკავშირებით მოვლენები განვითარდა სწორედ ისე, როგორც ვაცხადებდით ჩვენ და ლარმა დაიწყო გამყარება. დღეს უკვე ლარის გაცვლითი კურსი დოლართან მიმართებაში არის 1.92, ხოლო ბაზარზე არის 1.88 — 1,87.

მოგმართავთ მედიასაშუალებებს, რომ უფრო მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდოთ თქვენს საქმიანობას, ეს არ არის ჭკუის დარიგება, ეს არის ჩვეულებრივი მოქალაქეობრივი მოწოდება, — ამის შესახებ ირაკლი ღარიბაშვილმა ჟურნალისტის იმ შეკითხვის პასუხად განაცხადა, რომელიც ინვესტიციების გაზრდის ფონზე ლარის გაუფასურებას შეეხებოდა.

ჩვენი ტერიტორიების ხარჯზე არც ერთ მოლაპარაკებაზე არ წავალთ

ჩვენ ვართ და ვიქნებით პრინციპულები და ჩვენი ტერიტორიების ხარჯზე არც ერთ მოლაპარაკებაზე არ წავალთ, — ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა ჟენევის მოლაპარაკებების შესახებ დასმული კითხვის პასუხად განაცხადა.

პრემიერის თქმით, რუსეთის მხრიდან მორიგი ანექსიის მცდელობა ხელს შეუშლის რუსეთ-საქართველოს შორის დაწყებულ დიალოგს, თუმცა, მისი აზრით, მხოლოდ დიალოგი არის სწორი გზა.

როდესაც საჭიროდ ვთვლი, შეიძლება, ბიძინა ივანიშვილს აზრი ვკითხო

როდესაც საჭიროდ ვთვლი, შეიძლება ბიძინა ივანიშვილს დავურეკო და აზრი ვკითხო, ეს ყველა ქვეყანაში ხდება, — განაცხადა ღარიბაშვილმა, მისი თქმით, ბიძინა ივანიშვილი სამთავრობო გადაწყვეტილებებში არ ერევა..

პრემიერის გადაყენება, გამოცვლა დემოკრატიულ სახელმწიფში ასე მარტივად არ ხდება

ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, ჭორები, თითქოს მას ამ პოსტზე სხვა შეცვლის, სასაცილოა. მისი თქმით, პრემიერ-მინისტრი არის მთავრობის მეთაური, რომელსაც ამტკიცებს პარლამენტი. „პრემიერ-მინისტრის გადაყენება, გამოცვლა დემოკრატიულ სახელმწიფოში ასე მარტივად არ ხდება“, — განაცხადა ღარიბაშვილმა.

მიწაზე მფორთხავი ყოფილი „მთავარსარდლის“ მორიგი დემაგოგია

დანაშაული და უსასჯელობა

4

საკაშვილს ბრალს თავდაცვის უწყებაც უყენებს

ალტერნატიული მომავალი — საქართველოს ადგილი გლობალურ სამყაროში

9

12

სიმდიდრის ათი საიდუმლო, რომლებზეც წიგნებში არ წერენ

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

პრეზიდენტმა გარდაცვლილი პრემიერი წმინდა გიორგის სახელობის გამარჯვების ორდენით დააჯილდოვა

საქართველოს პრეზიდენტმა, გიორგი მარგველაშვილმა ქვეყნის ყოფილი პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია, სიკვდილის შემდეგ, წმინდა გიორგის სახელობის გამარჯვების ორდენით დააჯილდოვა.

ქვეყნის პირველმა პირმა ჯილდო ჟვანიას ოჯახის წევრებს გადასცა, რომლებსაც ავლაბრის რეზიდენციაში შეხვდა.

ზურაბ ჟვანია ქართული სახელმწიფოს დემოკრატიული აღმშენებლობის, საქართველოს ევროინტეგრაციისა და ქართული პარლამენტარიზმის განვითარებისა და სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერების საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის დაჯილდოვდა.

პრეზიდენტის სასახლეში იმყოფებოდნენ ზურაბ ჟვანიას, დედა, მეუღლე, ძმა და შვილი ანა ჟვანია.

საპრეზიდენტო სასახლეში შეხვედრამდე, საქართველოს პრეზიდენტი დიდუბის პანთეონში, ზურაბ ჟვანიას საფლავზე იმყოფებოდა, სადაც გარდაცვლილის ხსოვნას პატივი მიაგო.

9 დეკემბერს ზურაბ ჟვანია 51 წლის გახდებოდა.

გარდაცვლილი პრემიერ-მინისტრის მეუღლე ნინო ქადაგიძე-ჟვანია საქართველოს პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილს მადლობა გადაუხადა.

როგორც ნინო ქადაგიძე-ჟვანიამ განაცხადა, გიორგი მარგველაშვილისთვის ზურაბ ჟვანია არ არის სპეკულირების საგანი და ყოფილი პრემიერის წარმოჩენას ყოველთვის პოზიტიური მხრიდან ცდილობს.

„ძალიან დიდი მადლობა მინდა, ვუთხრა პრეზიდენტს იმისთვის, რომ, როგორც ყოველთვის, ზურას დაბადების დღეზე ჩვენს გვერდით არის და სწორედ პოზიტიური მხრიდან ცდილობს მის წარმოჩენას. ზურა მისთვის არასდროს არ არის სპეკულირების საგანი, არამედ ის ყოველთვის ცდილობს მისი ფასი წარმოაჩინოს“, — განაცხადა ნინო ქადაგიძე-ჟვანიამ.

პრეზიდენტის კანდიდატებს მხარი არ დაუჭირეს

ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში ერთ ვაკანტურ ადგილზე პრეზიდენტის მიერ წარდგენილმა კანდიდატებმა იურიდიულ საკითხთა კომიტეტისგან დადებითი რეკომენდაცია ვერ მიიღეს. პრეზიდენტმა პარლამენტს ცესკოში ზურაბ ხრიკაძის და ლევან ტურაშვილის კანდიდატურები შესთავაზა.

აღნიშნული პირები ცესკოს ვაკანტურ ადგილზე პრეზიდენტის ადმინისტრაციისა და არასამთავრობო ორგანიზაციებისგან დაკომპლექტებულმა საკონკურსო კომისიამ შეარჩია. მათ იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე მოუსმინეს. ხრიკაძეს სამმა დეპუტატმა დაუჭირა მხარი, სამმა კი მის წინააღმდეგ მისცა ხმა. რაც შეეხება ტურაშვილის კანდიდატურას, მისი მომხრე იურიდიულ საკითხთა კომიტეტის 4 წევრი იყო, მოწინააღმდეგე — 2.

მხარდაჭერის მისაღებად კი მათ სულ მცირე ხუთი ხმა სჭირდებოდათ. კომიტეტის ამ გადაწყვეტილების მიუხედავად, კანდიდატები პარლამენტის პლენარულ სხდომაზე მხარდაჭერის მისაღებად მაინც წარედგინება.

ამასთან, პრეზიდენტმა ცესკოში არსებულ კიდევ 3 ვაკანსიაზე გამოაცხადა ღია კონკურსი.

უარი ვთქვათ გიგანტური ჰესების მშენებლობაზე

საქართველოში საკმარისი ჰიდრორესურსებია იმისათვის, რომ ჩვენ უარი ვთქვათ გიგანტური ჰესების მშენებლობაზე, — ასე გამოეხმაურა „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერი ნინო ბურჯანაძე ჟურნალისტის მიერ დასმულ შეკითხვას „ხუდონჰესის“ სახელმწიფოს საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით.

ნინო ბურჯანაძე „ქართულ ოცნებას“ წინა საარჩევნოდ გაცემულ დაპირებებს ახსენებს.

„რაც შეეხება „ხუდონჰესთან“ დაკავშირებით საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის ინიციატივას, მე შევახსენებდი „ქართულ ოცნებას“ იმ დაპირებებს, რომელსაც ის იძლეოდა არჩევნების წინ. დანაპირები იყო, რომ ნებისმიერი ასეთი მასშტაბური პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებით, ხელისუფლება მხოლოდ სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე მიიღებდა გადაწყვეტილებას და არა ვინმეს ბიზნესინტერესებიდან გამომდინარე“, — აღნიშნა ნინო ბურჯანაძემ.

როგორც ბურჯანაძემ აღნიშნა, საქართველოში საკმარისი ჰიდრორესურსებია იმისათვის, რომ ჩვენ უარი ვთქვათ გიგანტური ჰესების მშენებლობაზე, რომელიც ანადგურებს ეკოსისტემასა და პრაქტიკულად ნახევარ საქართველოს წყლის ქვეშ ათავსებს.

ნინო ბურჯანაძემ მთავრობაში ბოლო დროს განხორციელებული საკადრო ცვლილებებიც შეაფასა.

„როდესაც პარლამენტის თავმჯდომარე და მისი ფრაქცია უმნიშვნელოვანეს კანონპროექტთან დაკავშირებით განსხვავებულად აძლევს ხმას და ამას როგორც დემოკრატიის ზეიმს, ისე წარმოგვიჩენს, ეს ნათლად აჩვენებს იმას, რომ ხელისუფლებაში არის კრიზისი და თუ მომავალი მთავრობა იქნება დასამტკიცებელი, ამას სერიოზული წინააღმდეგობები შეხვდება პარლამენტში. რაც შეეხება დღევანდელ მთავრობას, ის კარგა ხანია გარდაიცვალა, ხოლო იმ საკადრო გადაწყვეტილებებმა, რომლებიც ბოლო დღეების მანძილზე მოხდა, არამგონია რადიკალურად რაიმე შეცვალოს“, — განაცხადა ბურჯანაძე.

მისივე თქმით, დიდი ალბათობით ვადამდელი არჩევნები იქნება.

„ნათელია ისიც, რომ დიდი ალბათობით იქნება ვადამდელი არჩევნები, იმიტომ რომ ქვეყანა პრაქტიკულად არის კოლაფსში და ჩვენ თანდათანობით ვიძირებით ჭაობში, რასაც ნამდვილად სჭირდება ვადამდელი არჩევნები. ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ უმნიშვნელოვანესი საკითხების განხილვა კვლავ არჩევნებამდე სამი თვით ადრე შემოინახოს, შემდეგ გამოაცხადოს, რომ ამ ცვლილებებისთვის დრო და რესურსი არ არის და დატოვოს ყველაფერი ისე, როგორც ეს იყო ნაციონალური მოძრაობის მმართველობის დროს. რაც არ უნდა სცადოს „ქართულმა ოცნებამ“, თუ ის ასე გააგრძელებს, მომავალ არჩევნებში გამარჯვებას ნამდვილად ვერ მოიპოვებს“, — განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

◎ ანგარიში — პრესას

პროფესიონალები თავიანთ სათქმელს უდავოდ იტყვიან...

მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ მიმდინარე წლის მუშაობა შეაჯამა

გუშინ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში ჟურნალისტებს მთელი წლის მუშაობის ანგარიში ჩააბარეს. მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა აკადემიკოსმა გიორგი კვესიტაძემ საკმაოდ ვრცლად და ამომწურავად ისაუბრა იმ პროექტებსა და ღონისძიებებზე, რომელიც 2014 წლის განმავლობაში აკადემიის კედლებში განხორციელდა. თუმცა, წინსვლის მიუხედავად, აღინიშნა, რომ პრობლემა მაინც უამრავია. შეიძლება ითქვას, წარმატებებიც არის, მაგრამ მეცნიერებას წლებია ფონად გასდევს ტერმინი — მძიმე მდგომარეობაშია. უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში მიმდინარე პოლიტიკური და სოციალური პროცესების გამო, ყველაზე მეტად ქვეყნის სამეცნიერო პოტენციალი დაზარალდა, რომლის გამოსწორებას დიდი დრო დასჭირდება... თუმცა, გიორგი კვესიტაძეს სჯერა, რომ მეცნიერება უდავოდ იტყვის თავის სათქმელს და წვლილს შეიტანს ქვეყნის აღორძინებაში, — მეცნიერებისადმი ლტოლვა ბუნებაში აქვს ქართველ კაცს, — აღნიშნა აკადემიკოსმა.

საამაყოა, რომ საერთაშორისო ასპარეზზეც და ქვეყნის შიგნითაც, განსაკუთრებული მიღწევები აქვთ ჩვენს მეცნიერებს, ამზადებენ საინტერესო პროექტებს, თითოეულ უნივერსიტეტში 5-6 საერთაშორისო დონის მეცნიერია თავმოყრილი, მათ შორის უმეტესობა საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალების რედკოლეგიის წევრია.

ჩვენი მეცნიერების ციტირების ინდექსი მაღალია და სხვათა შორის, ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნები ამ მაჩვენებლით ვერც შეედრებიან... ეროვნულ აკადემიას კავშირები და ახლო კონტაქტები აქვს საზღვარგარეთის ქვეყნებთან. რამდენიმე თვის წინათ, ჩინეთსა და საქართველოს შორის, კერძოდ, მეცნიერებათა აკადემიასა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ქალაქ იანტაის ახალი და მაღალი ტექნოლოგიების ზონის გაცვლის საერთაშორისო ცენტრს შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებს მეცნიერებისა და ტექნოლოგიების საერთაშორისო ტრანსფერის, ტექნოლოგიებისა და მეცნიერული დამუშავების კომერციალიზაციის საფუძველზე, ახალი და მაღალი ტექნოლოგიების წარმოებაში დანერგვას. უკვე მუშაობს ორი ქართველი მეცნიერი ჩინეთში.

„ჩვენ ვზრუნავთ ქვეყნის ტექნოლოგიურ მოდერნიზაციაზე — აღნიშნა ბატონმა გიორგიმ, — **მაგრამ როცა ტექნოლოგიაზეა ლაპარაკი, ბევრი ფაქტორია გასათვალისწინებელი. ყველა ტექნოლოგიის დანერგვა საქართველოში ამ ეტაპზე, რთულია. რისი შესაძლებლობაც და რესურსიც გვაქვს, უნდა გავაკეთოთ. მაგალითად, ავიღოთ საღებავი. რა უნდა მის წარმოებას? — უმარტივესი ტექნოლოგიაა... რატომ უნდა შემოგვქონდეს ის მეზობელი ქვეყნიდან, როცა ადგილზე შეგვიძლია წარმოება?!“**

როცა ჟურნალისტებმა კითხვა დასვეს სოფლის მეურნეობის განვითარების შესაძლებლობებზე, აკადემიის პრეზიდენტმა უპასუხა — რომ სოფლის მეურნეობის უმთავრესი პრობლემა — არასრულყოფილი ნიადაგია. ნიადაგის რეაბილიტაცია გაცილებით გაადვილებს და გააიაფებს პროდუქციის მოწევას. **„სამეცნიერო მუშაობა სახეს იცვლის და ფუნდამენტური მეცნიერების განვითარებაზე გახდება ორიენტირებული“,** — დასძინა პრეზიდენტმა.

საინტერესოა, რომ მემორანდუმი გაფორმებულია „საპარტნიორო ფონდთან“, რომელმაც თავის თავზე აიღო ქვეყნისთვის საჭირო

მსხვილმასშტაბიანი მეცნიერული პროექტების დაფინანსება და ამ კუთხით რამდენიმე პროექტი განიხილება კიდეც. ამის პარალელურად საფუძველი ჩაეყარა რამდენიმე საერთაშორისო პროექტს. ერთერთი ასეთია ბიოსაწვავის ახალი ფორმის შექმნა. შარშან დაიბადა ეს იდეა, სადაც ამერიკულ-უკრაინულ პროექტში საქართველოც ჩართეს. **„ალვის ხისგან მიიღება თხევადი და მყარი საწვავი, — 250 ათას ჰექტარზე არის გაშენებული უკრაინაში ალვის ხეები, კანადის ჩრდილოეთით კი 30 ათას ჰექტარზე. სავარაუდოდ, დასავლეთ საქართველოში 500-600 ჰა. შეიძლება გაშენდეს, თუმცა, ჩვენი — ქართველი მეცნიერების მონაწილეობა ამ პროექტში ტექნიკური საკითხების მოგვარებაა“,** — აღნიშნა რესპონდენტმა.

გასულ წელს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას სტუმრობდნენ ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი რიჩარდ ნორლანდი, ისრაელის სრულუფლებიანი ელჩი იუვალ ფუძსი, ყაზახეთის ელჩი ერმუხამეტ ერტისბაევი და ბრიტანელი მოგზაური, მწერალი და მეცნიერი ტიმ სევერინი... მეცნიერებათა აკადემიაში ჩატარდა რამდენიმე მნიშვნელოვანი საერთაშორისო კონფერენცია, გამოჩენილი მეცნიერებისა და აკადემიკოსების იუბილეები, გაფორმდა რამდენიმე ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი...

ამერიკელმა ფიზიკოსებმა, რომლებიც მოტივირებულნი არიან განსაკუთრებით სუფთა (ზესუფთა) კვების პროდუქტები აწარმოონ, ქართველი მეცნიერები მიიწვიეს ამ იდეის განსახორციელებლად, როგორც ეკოლოგიური კონცეფციის ავტორები.

20-მდე აქტუალური პრობლემის მოგვარების დასაბუთებული პროექტი მიაწოდა მთავრობას მეცნიერებათა აკადემიამ, რომელიც ეკონომიკურ მოგებასაც მოუტანდა ქვეყანას და სამუშაო ადგილებსაც გააჩენდა... თუმცა...

ჟურნალისტებმა გიორგი კვესიტაძეს ერთგვარად უსაყვედურეს კიდეც იმის გამო, რომ საჭირბოროტო საკითხებთან დაკავშირებით კომპეტენტური აზრი მეცნიერებისგან არ ისმის. მაგალითად, ხუდონჰესის მშენებლობაზე, საყდრისის ოქროს მაღაროზე, ეკოპრობლემებზე და ა. შ. რაზეც აკადემიკოსმა ასე უპასუხა, **„ვიზიარებ თქვენს შენიშვნებს, მაგრამ მაინც გეტყვით, რომ მეცნიერება უფრო სხვა რაღაცაა“...** მას აზრი არ დაუმთავრებია, მაგრამ სავარაუდოდ, იგულისხმა პოლიტიკა, რადგან ყველა ზემოჩამოთვლილი თემა მეტ-ნაკლებად პოლიტიკურ გადაწყვეტილებასთან ასოცირდება. თანაც, ყველა ამ საკითხს მეცნიერებათა აკადემიაში კონფერენციები მიეძღვნა...

რაც შეეხება მთავრობასთან თანამშრომლობას, გიორგი კვესიტაძის განმარტებით, პრემიერ-მინისტრმა საქართველოს სეისმური მდგომარეობის შესასწავლად და სეისმური სამსახურის აღდგენის თაობაზე თავად მიმართა მეცნიერებათა აკადემიას და თანამშრომლობაც შედგა. **„მეცნიერებათა აკადემიის ფუნქციაა, გამოვავლინოთ პრობლემა, დავისახოთ გეგმები, შევიმუშავოთ რეკომენდაციები და გავუგზავნოთ მთავრობას, მაგრამ სხვა რაიმე ბერკეტი იდეის განსახორციელებლად არ გაგავაჩინია“,** — დასძინა აკადემიის პრეზიდენტმა.

ფაქტია, რომ საქართველოსნაირ ქვეყანას მეცნიერება სჭირდება, მაგრამ რას აკეთებს ამისთვის ხელისუფლება? ფინანსები არც თუ დამაჯერებლად გამოიყურება იმ ფონზე, თუ მას იმ პოტენციალს და საჭიროებებს დავატოლებთ, რაც აუცილებელია. 350 ათასი ლარის ოდენობა აკადემიის ხარჯვის წილი დიდი ბედენა არაა მეცნიერების ხელშესაწყობად. მეცნიერებათა აკადემიაში 61 აკადემიკოსია და ასობით პროფესორი, მეცნიერ-თანამშრომელი, რომელთაც დიდი შანსი აქვთ, ქვეყნის გარეთ გააგრძელონ მოღვაწეობა, მაგრამ საქართველოში ურჩევნიათ. ესეც ხომ ერთგვარად გმირობის ტოლფასია?!

და რაც შეეხება ე. წ. „ტვინების გადინებას“, რომელიც ბოლო ათწლეულების თანამდევ ფაქტორად იქცა. გიორგი კვესიტაძის აზრით, ეს არის ჯოხი, რომელსაც ორი ბოლო აქვს: **„დღეს 350-ზე მეტი ქართველი მეცნიერი მოღვაწეობს საზღვარგარეთ. ეს რიცხვი ჩვენისთანა პატარა ერისთვის ძალიან ბევრია. მაგრამ, საბედნიეროდ, ქვეყნიდან მეცნიერთა გასვლის ტენდენცია შეჩერებულია. ახლა ვცდილობთ, შევქმნათ ერთიანი სამეცნიერო სივრცე და „შემოვიტყუოთ“ ეს მეცნიერები, რათა აქტიურად ჩავრთოთ ჩვენს პრობლემებში... არ ვნანობთ, რომ ისინი უცხოეთში მოღვაწეობენ, ვინაიდან ძალიან დიდ დახმარებას უწევენ ქვეყანას. ჯერ ერთი, საქართველოს ცნობადობა გაზარდეს და მეორე, მათთან ვაგზავნით ქართველ მეცნიერებს პრაქტიკის მისაღებად და ისინიც უანგაროდ გვეხმარებიან, რომ არაფერი ვთქვათ მათ სამეცნიერო მუშაობაზე, რითაც წვლილი შეაქვთ სამყაროს ფორმირებაში... ანუ მე იმის თქმა მინდა, რომ უცხოეთში მოღვაწე ქართველი მეცნიერები ჩვენთვის დაკარგულები არ არიან, პირიქით“,** — აღნიშნა აკადემიკოსმა.

თეა მოსია

◎ ᲙᲝᲛᲞᲔᲢᲔᲜᲢᲣᲠᲘ ᲐᲖᲠᲘ

ᲒᲐᲦᲐᲛᲦᲒᲐᲠᲘ „ᲑᲘᲭᲔᲑᲘ“ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲝᲡᲔᲑᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲐᲜ!

ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠ საკითხებში პრემიერ-მინისტრის თანაშემწე რომან ჩხენკელმა და მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებსა და ადგილობრივ თვითმმართველობებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფრომა აკაკი ჩხენკელმა თანამდებობა საკუთარი განცხადების საფუძველზე დატოვეს. პრემიერ-მინისტრის უახლოესი გარემოცვის წევრების, ძმები ჩხენკელების შესახებ ბოლო თვეების განმავლობაში ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ ისინი მონაწილეობდნენ ბიზნეს-გარიგებებში.

თუმცა, თავად ჩხენკელებს ბრალდებაზე კომენტარი არც მაშინ გაუკეთებიათ, როდესაც სახელმწიფო სტრუქტურაში მოღვაწეობდნენ და არც ახლა, რიგითი მოქალაქის პოზიციიდან აკეთებენ. ცნობილია მხოლოდ ის, რომ ძმებმა ჩხენკელებმა თანამდებობა საკუთარი განცხადების საფუძველზე დატოვეს. დაინტერესდება თუ საგამოძიებო უწყება ძმების მოღვაწეობით, ჯერჯერობით უცნობია, თუმცა, ყოფილი პრემიერ-მინისტრის ყოფილი მრჩეველი გია ხუხაშვილი თვლის, რომ თუ საჭირო გახდა, მათი საქმიანობით შესაბამისი ორგანოები უნდა დაინტერესდნენ.

დღეს ᲒᲘᲐ ᲮᲣᲮᲐᲨᲕᲘᲚᲘ გვესაუბრება.

— ᲐᲛ უცნაურ ცვლილებებში, ყველაზე საინტერესო არის ძმები ჩხენკელების მიერ თანამდებობის დატოვება. ოფიციალური მიზეზი უცნობია, მხოლოდ მინიშნება გააკეთა ნოდარ ჯავახიშვილმა, რომ ტენდერების საქმე უნდა მოაგვაროს. სწორედ, ძმები ჩხენკელების შესახებ ბოლო თვეების განმავლობაში ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ ისინი მონაწილეობდნენ ბიზნეს-გარიგებებში. ბატონო გია, თქვენ თუ გაქვთ ამის შესახებ ინფორაცია?

— პირდაპირ გეტყვით, რომ არც ვიცი, ვინ არიან, ან რითი იყვნენ დაკავებული ეს ადამიანები. მაგრამ, თუ კითხვა ისე იქნება დასმული, რომ შეიძლება თუ არა მათ მიმართ დაისვას კითხვები? — კითხვა შეიძლება ყველას მიმართ დაისვას. ამ კითხვებზე პასუხის გაცემა მათ ინტერესებში უნდა იყოს. როდესაც ამ ტენდერების რევიზირება მოხდება და ბატონი ნოდარ ჯავახიშვილი თავის დასკვნას დადებს, კარგი იქნება თუ ეს დასკვნა გასაჯაროვდება. არ ვიცნობდი ჩხენკელებს, თუმცა, რას აკეთებდნენ ჩხენკელები არაფორმალურად ამის შესახებ პრესა წერდა და თუ საჭირო გახდა, ალბათ, მათი საქმიანობით შესაბამისი ორგანოები უნდა დაინტერესდნენ. მე ვერაფერს გეტყვით.

— თქვენ როგორ შეგიძლიათ შეაფასოთ ის პროცესები, რომელიც ახლა ვითარდება? ფაქტია, რომ თანამდებობას მასიურად ტოვებენ პრემიერთან დაახლოებული გუნდის წევრები. ამ ადამიანებზე ბევრს საუბრობდნენ, რომ ისინი ერეოდნენ ტენდერებებში, ლობირებდნენ ბიზნესებს და ა.შ.

— როდესაც მაღალი თანამდებობის რამდენიმე პირი, ერთდროულად მიდის თანამდებობიდან და მათ შორის ძმები, ბუნებრივია, რომ ეს რაღაცას უკავშირდება. ეს არაა ჩვეულებრივი გადადგომები. ეს ადამიანები, რომლებიც უკვე გადადგნენ, არც ერთი არაა პოლიტიკური ძალის წარმომადგენელი. ისინი პირადად პრემიერ-მინისტრის კადრები არიან და რაღაცნაირად, ურთიერთკავშირი ამ ადამიანებს შორის ლოგიკურად ჩანს. იმდენად თეთრი ძაფით არის ყველაფერი ნაკერი, რომ აქედან სხვა დიაგნოზის დასმა უბრალოდ, შეუძლებელია. რაც შეეხება კონკრეტიკას, იმის მეტი რაც პრესაში იწერებოდა, არაფერი ვიცი. ბუნებრივია, თუ ვინმეს მიმართ არის კითხვები, ეს უნდა იქნეს გამოკვლეული.

— ბოლო მონაცემით 10-მა თანამდებობის პირმა დატოვა ხელისუფლება. მართალია, დაბალი რანგის ჩინოსნები არიან, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობდნენ, ყველას მიერ ერთდროულად გადაწყვეტილების მიღება, იმ მოტივით, რომ პრემიერთან დაახლოებული პირები არიან და ამიტომ ტოვებენ თანამდებობას, ეს რამდენად დამაჯერებელი ვერსიაა?

— ეს არაა დამაჯერებელი ვერსია. საერთოდ, როდესაც ვსაუბრობთ მედიასთან, იმდენი პატივი უნდა ვცეთ, არ ვუთხრათ ის, რისიც ჩვენ თვითონ არ გვჯერა. იგივე, როდესაც ვსაუბრობთ ზვიად ჯანყარაშვილზე, ჩემი აზრით, მთავარი ფაქტორი არ იყო ნათესაობა. მას არაერთხელ გამოუცხადა პრემიერ-მინისტრმა პირადი ნდობა, დაწყებული იმით, რომ მისი შს მინისტრობის დროს იყო გენინსპექციის უფროსი, შემდეგ ჯანყარაშვილმა დატოვა თანამდებობა, მაგრამ ის მეორედ შემოიყვანა თამაშში პრემიერ-მინისტრმა.

თუ ვისაუბრებთ ნათესაურ კავშირზე, ეს არ იქნება მთლად ლოგიკური განცხადება. სხვათა შორის, პირველად თანამდებობის დატოვების დროსაც, ანალოგიური განცხადება გააკეთა. თუ ნათესაობის გამო დატოვა პირველად თანამდებობა, მაშინ მეორედ რატომ დაბრუნდა პოლიტიკაში? გამოდის, რომ პირველად მის მიერ თანამდებობის დატოვების მიზეზად გაკეთებული განცხადება არ იყო მთლად მყარი.

ირაკლი ღარიბაშვილმა პირადად აიღო პასუხისმგებლობა პარტიის განვითარებაზე, მას სჭირდებოდა ნდობით აღჭურვილი პირი და ჯანყარაშვილის დანიშვნაც იყო ლოგიკური. მაგრამ, თუ ვივარაუდებთ, რომ ჯანყარაშვილის რიგით მეორე გადაწყვეტილებაში პრემიერის ხელი ურევია, ეს მასზე დადებითად მეტყველებს. მოვლენების შემდგომი განვითარება აჩვენებს ყველაფერს.

— ვრცელდება ინფრომაცია, რომ ხელისუფლებიდან და, კერძოდ, ეკონომიკური გუნდიდან პრემიერთან დაახლოებული პირების ჩამოშორება, უშუალოდ ბიძინა ივანიშვილის ინტერესში შედოდა...

— მე არ მგონია, რომ ვიღაცას მიზნად ჰქონოდა ღარიბაშვილის გუნდის წევრების ჩამოშორება. არავის სხვას არ მიუღია გადაწყვეტილება, თვითონ ღარიბაშვილმა მიიღო ეს გადაწყვეტილება.

— შსს-დან, ეკონომიკური გუნდი, გუბერნატორის მიერ თანამდებობის დატოვება და ა.შ. ეს არის პრემიერის საჯარო დასჯა?

— მე არ ვთვლი, რომ ეს არის ღარიბაშვილის დასჯა. პირიქით, ჩვენ თუ ვსაუბრობთ, რომ რაღაცა წესრიგში არ იყო, პირიქით, ეს მისთვის დახმარებაა. თუ ვივარაუდებთ, რომ ამ ადამიანების ირგვლივ, რაღაცა ისეთი მოხდა, რაც ჩვენ ჯერ არ ვიცით და ამიტომ მოხდა მათი ჩამოშორება, ეს კარგია. შეიძლება ეს ცვლილება ღარიბაშვილს მოკლევადიან პერსპექტივაში ასუსტებს, მაგრამ გრძელვადიან პერსპექტივაში, პირიქით, ამაგრებს. ახლა ძალიან ბევრი რამე დამოკიდებულია იმაზე, რამდენად ძლიერი პიროვნებაა ღარიბაშვილი. თუ იმდენად სუსტია, ვერ მოახერხებს ისე გადაჯგუფებას, რომ უფრო გაძლიერებული გამოვიდეს, მაშინ ეს უკვე მისი პიროვნულ სისუსტედ იქნება აღქმული და შესაბამის შედეგებსაც მალე დავინახავთ. ყველაფერი დამოკიდებულია მასზე, როგორ მოახერხებს პრემიერი ამ სიტუაციიდან გამოსვლას.

— თუ ეს არაა ღარიბაშვილის დასჯა, მაშინ ღარიბაშვილის შესუსტებით რა ტაქტიკასთან გვაქვს საქმე?

— პოლიტიკურად ისეთი სიტუაცია ჩამოყალიბდა, რომ ეს ადამიანები პრემიერს ამძიმებდნენ. უნდა ვივარაუდოთ, რომ შექმნილმა გარემოებებმა ის აიძულა, რომ ასეთი ნაბიჯი გადაედგა, რაც არაა ცუდი. საერთოდ, კარგი მენეჯერი ცუდისგან იმით განსხვავდება, რომ ის ახერხებს უცხო ადამიანების მართვას. სისტემა როდესაც ეგება ახლობლობაზე, ასეთი სისტემა, როგორც წესი, არ მუშაობს.

თუ ვივარაუდებთ, რომ ღარიბაშვილი ადრე სისტემას ნდობაზე და ახლობლობაზე ალაგებდა, მე ვფიქრობ, რომ ახლა უნდა გააკეთოს სისტემური დასკვნები, უნდა გამოავლინოს პროფესიონალური მენეჯერის თვისებები. ნდობაზე კი არ უნდა აააწყოს სისტემა, სისტემა ააწყოს პროფესიონალიზმზე და კომპეტენტურობაზე. თუ მოახერხებს, რომ არა ნათესავებში, არამედ პროფესიონალებში გახდეს ავტორიტეტი, ამ შემთხვევაში ის გაიმარჯვებს, თუ ამას ვერ მოახერხებს, ბუნებრივია, პროცესები გადავა სისტემურ პრობლემაში.

— ამ ვითარებაში უშვებთ რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნებს?

— ჯერ ნაადრევია ამაზე ლაპარაკი. თუმცა, დინამიკა სახარბიელო ნამდვილად არა არის. მე უფრო სამთავრობო რყევების ვარიანტს ვუშვებ. აქ უკვე ეს პროცესები მინისტრებზე ვერ გაჩერდება. თუ ეკონომიკაში, საგარეო და საშინაო პოლიტიკაში ვერ იქნა ის რისკები გადალახული, რის წინაშეც დღეს დადგა ქვეყანა, ამ შემთხვევაში, მთავრობის ნდობის საკითხი დადგება.

ᲗᲐᲛᲗᲐ ᲥᲐᲠᲩᲐᲕᲐ

◎ ᲣᲞᲐᲡᲣᲮᲝ ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲘ

ᲡᲐᲓ ᲒᲐᲥᲠᲐ ᲙᲐᲮᲐ ᲨᲐᲠᲗᲐᲕᲐ

ᲑᲘᲫᲘᲜᲐ ᲘᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ პოლიტიკაში შემოსვლას სააკაშვილის ხელისუფლების მიერ კუთხეში მომწყვდეული და პოლიტიკურად მარგინალიზებული (შეიძლება ითქვას, გაკოტრებული) პარტიების უმრავლესობა დიდი ზარ-ზეიმით შეხვდა. ზოგმა ივანიშვილის „გუნდში“ მიპატიჟება გადარჩენის ერთადერთ შანსად ჩათვალა, ზოგი კი რიგში ჩადგა და მილიარდერის წყალობას დაელოდა.

საზოგადოებამ კარგად იცის, 2011 წლის შემოდგომის პერიპეტიები და ამდენად, ამაზე საუბრით თავს არ შევაწყენ, მხოლოდ შევახსენებ, რომ ერთ-ერთი მათგანი, ვინც ივანიშვილის ნავში ჩახტომა მოინდომა, „ეროვნული ფორუმიც“ იყო, თუმცა, ყველას უკვირდა, როგორ შეიძლებოდა ერთ გუნდში ყოფილიყვნენ უკიდურესად ლიბერალი „რესპუბლიკელები“ და ეროვნულ შირმას ამოფარებული „ფორუმელები“(?!)

მიუხედავად იმისა, რომ „ფორუმელებიც“ პოლიტიკურ სივრცეში არსებითი ხასიათის „გარღვევით“ არ გამოირჩეოდნენ, საზოგადოება მათში მაინც იდეოლოგიურად განსხვავებულ პოლიტიკურ ძალას ხედავდა. მეტიც, საზოგადოების გარკვეულ ნაწილში მოთხოვნილებაც გაჩნდა, ისინი წინა პლანზე წამოწეულიყვნენ და ქართული ელექტორატის გამაერთიანებლის ფუნქციაც შეესრულებინათ.

ცხადია ისიც, რომ საზოგადოებაში სიმპათიებს იწვევდა „ფორუმელთა“ ლიდერი კახა შარტავა, რომელიც თავისი ცხოვრების წესითა და აზროვნების კრიტერიუმით აშკარად განსხვავებული პოლიტიკოსის იმიჯს ინარჩუნებდა.

„ქართულ ოცნებაში“ „ფორუმელების“ გაერთიანების შემდეგ ყველას ეგონა, რომ ისინი ივანიშვილის ერთ-ერთ დასაყრდენ ძალად იქცეოდნენ. განსაკუთრებით კახა შარტავას ივანიშვილის გუნდში დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ.

არადა, ყველას გასაოცრად, პირიქით კი მოხდა - შარტავამ თავისი თანაგუნდელებისგან (გუბაზ სანიკიძე) განსხვავებით პოლიტიკით მილიონის შოვნა არ ისურვა და საერთოდ უარი თქვა დეპუტატობაზე და აღმასრულებელ სტრუქტურაში საკვანძო თანამდებობის დაკავებაზეც!

დღემდე ამოუხსნელ განტოლებად რჩება რატომ გაემიჯნა კახა შარტავა ბიძინა ივანიშვილს და რატომ ამჯობინა საერთოდ ჩრდილში დადგომა — მან წინასწარ განჭვრიტა დღევანდელი ხელისუფლების მოსალოდნელი სირთულეები თუ შეგნებულად აარიდა თავი ამ ხელოვნურად შეკოწიწებულ კონგლომერატთან ასოცირებას და „ახალ დროს“, ახალ გამოწვევას დაელოდა?!

დღემდე ვერავინ იტყვის, რომ კახა შარტავამ საკუთარ პრინციპებს უღალატა და თავისი პოლიტიკური კარიერა ლარებზე გაყიდა. ვერც იმას იტყვიან, რომ მას პოლიტტექნოლოგიებში რაიმე შეეშალა და პოლიტიკურ ასპარეზზე დაბრუნების უფლება არა აქვს!

ძნელი სათქმელია, თუ რატომ არჩია შარტავამ იმ კონკრეტულ მომენტში აქტიური პოლიტიკისგან გარიდება, მაგრამ ერთი რამ ფაქტია: იგი საჭირო დროს ელოდება, რომ საჭირო ადგილას გამოჩნდეს და ზნეობრივი ფიგურის შარმით დაბრუნდეს პოლიტიკაში!

არც ის არის გამორიცხული, შარტავა-ივანიშვილს შორის საიდუმლო შეთანხმება არსებობდეს და „მეორე წრეზე“ ივანიშვილის გუნდის ლიდერად სწორედ კახა შარტავა მოგვევლინოს.

იქნება თუ არა „ეროვნული ფორუმის“ ლიდერი ივანიშვილისთვის „ოქროს მარაგი“, ამას უახლოესი მომავალი გვიჩვენებს. ასეც რომ არ იყოს, კახა შარტავა სწორედ ის ფიგურაა, რომლის ადგილი ქართულ პოლიტიკაში ჯერჯერობით დაკავებული არ არის!

ვის-ვის და საქართველოს ეროვნული გმირის ჟიული შარტავას ვაჟიშვილს ნამდვილად არ ჰქონდა უფლება სხვანაირად მოქცეულიყო. ფაქტია ისიც, რომ ქართულ პოლიტიკას კახასნაირი ზნეობრივი ადამიანები სჭირდება!

ვნახოთ!..

ᲡᲐᲑᲐ ᲡᲐᲑᲐᲮᲢᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ

◎ ᲐᲚᲘᲐᲜᲩᲐᲚᲘᲐᲜᲘ

2014 ᲬᲚᲘᲡ ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲘ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲓᲔᲑᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ფინანსთა მინისტრის ნოდარ ხადურის განცხადებით, 2014 წლის ბიუჯეტი შესრულდება. მისი თქმით, 2014 წლის ბიუჯეტში საგადასახადო შემოსავლები გადაჭარბებით იქნება მობილიზებული. რაც შეეხება 2015 წლის ბიუჯეტს, მინისტრის თქმით, პარლამენტში მას მიმდინარე კვირის პარასკევს განიხილავს. ხადური დარწმუნებულია, რომ საკანონმდებლო ორგანო მომდევნო წლის ბიუჯეტის პროექტს მხარს დაუჭერს.

ᲘᲜᲢᲔᲠᲠᲔᲡᲘ

◎ ტყუილმფრქვევი მიშა

მიწაზე მფორთხავი ყოფილი „მთავარსარდლის“ მორიგი დემაგოგია

ПРОКУРАТУРИს მიერ ძებნილ ექს-პრეზიდენტ სააკაშვილს „ბრალს“ ამჯერად, საქართველოს თავდაცვის უწყებიდან უყენებენ. სამინისტროში მიიჩნევენ, რომ ყოფილი მთავარსარდლის მიერ ქართველი ოფიცრების შესახებ გაკეთებული განცხადება საკუთარი სახელმწიფოსა და სახელმწიფო ინსტიტუტების წინააღმდეგ არის მიმართული, ხოლო ამგვარი პროპაგანდა გაუმართლებელია.

უფრო კონკრეტულად კი, საუბარია მიხეილ სააკაშვილის ერთგვარ მოწოდებაზე, ქართველი სამხედროების უკრაინაში წასვლასა და სამხედრო კარიერის მეზობელ ქვეყანაში გაგრძელებას რომ ითვალისწინებს.

„ბევრი ქართველი ოფიცერი ამ დღეებში იღებს უკრაინის მოქალაქეობას. უკრაინის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ის ქართველი ოფიცრები, რომლებიც გადაწყვეტენ უკრაინის არმიაში მოღვაწეობას, ყველა მიიღებს უკრაინის მოქალაქეობას. იმ პირობებში, როდესაც საქართველოს თავდაცვის მინისტრს დაუნიშნეს მოადგილე ბურჯანაძის პარტიიდან, მე ვფიქრობ, ბევრ ქართველ ოფიცერს სხვა გამოსავალს არ უტოვებენ, თუ არა წავიდნენ და გააგრძელონ სამსახური მეგობრულ უკრაინაში, რომელიც იბრძვის იმ ომში, რომელიც საქართველოს მტრებთან ომია“, — განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაში კი აღნიშნულია, რომ შეიარაღებულ ძალებში არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა, როდესაც ქართველმა ოფიცრებმა დატოვეს ქვეყანა და სხვა ქვეყნის შეიარაღებულ ძალებში დაიწყეს სამსახური.

„ჩვენი ინფორმაციით, უკრაინაში იმყოფება საქართველოს რამდენიმე მოქალაქე, რომლებიც წლების წინ მსახურობდნენ საქართველოს შეიარაღებულ ძალებში და ამჟამად, შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში არ ირიცხებიან. ქართველ ოფიცერთა შემადგენლობა ჩვენი საზოგადოების გამორჩეული ნაწილია. ჩვენი ოფიცრები, სხვა ქვეყნის მოქალაქეობის მიღების სანაცვლოდ არ შეწყვეტენ საკუთარი სამშობლოს, საზოგადოების უსაფრთხოების დაცვას. ისინი იცავდნენ და ყოველთვის დაიცავენ საქართველოს“, —განმარტავენ თავდაცვის უწყებაში და აღნიშნავენ, რომ საქართველო ნატოსკენ სწრაფვას განაგრძობს და ამ მიმართულებით სულ უფრო მეტ წარმატებებს აღწევს.

სააკაშვილის განცხადებაზე საკუთარი მოსაზრებები აქვთ საკითხის სპეციალისტებსა და დარგის ექსპერტებს.

ჟურნალ „არსენალის“ მთავარი რედაქტორი ირაკლი ალადაშვილი for.ge-სთან საუბრისას აღნიშნავს, რომ ექს-პრეზიდენტის განცხადება, შესაძლოა, მხოლოდ ყოფილი სამხედროებისთვის აღმოჩნდეს საინტერესო.

„არ მგონია, ექს-პრეზიდენტის განცხადებას საქართველოში ბევრი გამოეხმაუროს. ეს განცხადება, შესაძლოა, საინტერესო მათთვის იყოს, ვინც სააკაშვილის დროს პრივილეგირებულები იყვნენ, მაღალი თანამდებობები ეკავათ, 2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ კი თანამდებობები დატოვეს და შეიარაღებული ძალებიდან წავიდნენ. ეჭვი მეპარება, რომ დაინტერესდნენ ის ოფიცრები, ვინც დღეს მსახურობენ. ასეთი შეიძლება მხოლოდ რამდენიმე ადამიანი გამოჩნდეს. მაგრამ, დიდი რაოდენობით რომ წავიდნენ და ამან ზიანი მიაყენოს საქართველოს შეიარაღებულ ძალებს, ასეთი რამ ნაკლებად მოსალოდნელია“, — აცხადებს ირაკლი ალადაშვილი.

სააკაშვილს ბრალს თავდაცვის უწყებაც უყენებს

„არსენალის“ მთავარი რედაქტორის ინფორმაციით, უკრაინაში დღეს იბრძვიან ქართველები, მაგრამ ის ოფიცრები თუ სერჟანტები საქართველოს შეიარაღებული ძალებიდან კარგა ხნის წასულები არიან.

„სხვათა შორის, რამდენიმე მათგანი, სწორედ, სააკაშვილის ხელისუფლებაში ყოფნის დროს წავიდა არმიიდან. თუ რატომ წავიდნენ, ეს სხვა საქმეა. თუ ვინმეს აქვს დღეს სურვილი ქართველი ოფიცრებიდან, რომ უკრაინაში წავიდეს და იბრძოლოს, მაშინ მოუწევს საქართველოს შეიარაღებული ძალების დატოვება და კონტრაქტის გაწყვეტა. როცა პირი კონტრაქტს გაწყვეტს და ამ საკითხზე სასამართლოც შედგება, უკვე შეუძლია, უკრაინაშიც წავიდეს და სხვაგანაც - სადაც მას სურს. საქართველოდან თუ ვინმე წავა, უნდა იცოდეს, რომ თუ უკრაინის მოქალაქეობას აიღებს, უნდა დათმოს საქართველოს მოქალაქეობა, იმიტომ რომ უკრაინაში არ მოქმედებს ორმაგი მოქალაქეობა“, — აცხადებს ირაკლი ალადაშვილი და აღნიშნავს, რომ უკრაინაში დღეს სხვებთან ერთად ირაკლი ქურასბედიანი იბრძვის, რომელიც 2008 წლის აგვისტოს ომამდე თავდაცვის სამინისტროს დაზვერვის დეპარტამენტის უფროსი იყო, თუმცა იგი, სწორედ, ხელისუფლებაში სააკაშვილის ყოფნის დროს ჩამოაქვეითეს.

„არსენალის“ მთავარ რედაქტორი უკრაინაში ქართველი სამხედროების წასვლის საკითხზე ყურადღებას სხვა მიმართულებითაც ამახვილებს. იგი ფიქრობს, რომ უკრაინაში ბრძოლა ქართველი სამხედროებისთვის, ბევრი ფაქტორის გამო, კარგი გამოცდილების მომცემი შეიძლება იყოს.

„ერაყში, ავღანეთსა და მით უმეტეს, კოსოვოში, აბსოლუტურად სხვა ტიპის საბრძოლო მოქმედებები მიდის. ძირითადად, ეს არის ანტიპარტიზანული ბრძოლები, როდესაც, ერთ მხარეს მყოფ კოალიციას აქვს სრულყოფილი შეიარაღება — ავიაციაც, კოსმოსური დაზვერვაც, არტილერიაც, ხოლო მეორე მხარე პარტიზანულად მოქმედებს. ქართველი სამხედროები დღეს, სწორედ, ამ კოალიციური ძალების მხარეს არიან. ღმერთმა არ ქნას და ხვალ რომ ისევ განახლდეს საქართველოში საბრძოლო მოქმედება რუსეთის მხრიდან — რეგულარულ არმიასთან, როგორც ეს 2008 წელს იყო — იქნება იგივე სიტუაცია, რაც დღეს უკრაინაშია, ფრონტის ხაზის მეტ-ნაკლებად შეკავება თუ შევძელით. ამიტომ, გამოცდილება, რომელიც დღეს უკრაინაში შეიძლება მიიღოს ადამიანმა, რუსების რეგულარულ და ნახევრად რეგულარულ დანაყოფებთან ბრძოლაში, საკმაოდ დიდი გამოცდილებაა“, — აცხადებს ირაკლი ალადაშვილი.

ყოფილი პოლიტპატიმარი და სამხედრო საკითხთა ექსპერტი ვახტანგ მაისაია კი ფიქრობს, რომ უკრაინაში წარმოებულ საბრძოლო მოქმედებებში ქართველი ყოფილი სამხედროების ჩართვის იდეა წარუმატებელი იმის გამოც შეიძლება იყოს, რომ ამ „ინიციატივას“ მიხეილ სააკაშვილი ახმაურებს.

„ქართველი ოფიცრები ასრულებენ საკუთარ მოვალეობას და, ბუნებრივია, მათ ჯერ საკუთარი სამშობლო აქვთ დასაცავი, ვიდრე მეზობელი და ძმური ერის ტერიტორია. მეორეც, უკრაინაში მებრძოლი საქართველოს შეიარაღებული ძალების ყოფილ ოფიცრების რაოდენობა არ არის იმდენად დიდი, რომ გახდეს სტიმულის მიმცემი სხვებისთვის. ჯარისკაცები, რომლებიც დღეს სეპარატისტულ რეგიონებში ირაკლი ქურასბედიანის მეთაურობით ომობენ, დაახლოებით 50 თუ იქნება, ანუ უკრაინაში მეომარი ქართველი მოხალისეების რაოდენობა მცირეა. თუ სააკაშვილი ყოფილ სამხედროებს მოუწოდებს აღნიშნულ ოპერაციებში ჩასართავად, სხვა საქმეა. ვისაც ეს საკითხი აინტერესებს, თავადაც მიიღებს ამგვარ გადაწყვეტილებას. სააკაშვილის მოწოდებამ კი პირიქით უფრო შეიძლება შეაფერხოს ასეთი ადამიანების სულისკვეთება“, — აცხადებს ვახტანგ მაისაია.

სამხედრო საკითხთა ექსპერტი მიიჩნევს, რომ მიხეილ სააკაშვილს სამხედროების თემაზე საუბრის მორალური უფლება არ გააჩნია, რადგან ხელისუფლებაში ყოფნის და მთავარსარდლობის დროს სამხედროებს სათანადოდ არ აფასებდა.

„სააკაშვილი ჩვენთან იყო, სწორედ, სამხედროების დამსჯელი. მან დასაჯა ქართველი სამხედროები, რომლებიც გმირულად იბრძოდნენ რუსი ოკუპანტების წინააღმდეგ — ამის მაგალითია თეთრაძის, ქარდავას და შავაძის მკვლელობები, ანუ ის ადამიანები, რომლებიც წინა ხაზზე იყვნენ, არათუ დააფასეს, დასაჯეს... ეს არის ადამიანი, რომელიც სამარცხვინოდ გაიქცა ფრონტის ხაზიდან, კუშნერი მიატოვა და დაოთხილი მიფოფხავდა, იმიტომ, რომ რუსეთის სადაზვერვო თვითმფრინავის შეეშინდა, რომელიც მორიგ ოპერაციას ასრულებდა და არც ჰქონია საბრძოლო ამოცანა“, — აცხადებს ვახტანგ მაისაია.

ელენე აბესაძე

◎ კაკალ გულში

წერილოვანი ოჩაზები

● **როგორ ფიქრობთ, საკუთარი ქვეყნისთვის ვინ უკეთესი პრეზიდენტია (იყო) - პუტინი თუ სააკაშვილი?**

პოდა, ყველამ თავის საყვარელ პრეზიდენტს მოუაროს და არავის საჯდომის საქმე არაა, თუკი რუსეთის მოქალაქე, წარმოშობით ლეფსვერიძე, თავის პრეზიდენტს მხარს დაუჭერს!

● **ხომ ლამაზია სააკაშვილი, მაგრამ სკაიპში უფრო ლამაზია!**

● **სპორტის სასახლეში ვიყავი ლეფსის კონცერტზე, გავიარე სირცხვილის კორიდორი და შემრცხვა... ამდენი დაუნი რომ გვყავს. მერე კარგად მოვილხინე! ვიცეკვე,ვიყვირე და ვიმხიარულე.**

ისე, მე, პირადად დიდი ხმაურის მოყვარული არა ვარ, ყურის ბარაბნები ვერ იტანს, მაგრამ ლეფსი გენიალურია!

● **ნატოსკენ ეს დაუსრულებელი სწრაფვა (იქ რომ მიგვიღებენ, არ მგონია, რომ ვინმეს სჯეროდეს), რისი მომტანია? ოსეთის და აფხაზეთის დაბრუნების შანსი გაიზრდება? დარჩენილი ტერიტორია უფრო დაცული იქნება ოკუპანტებისგან (თურქეთიც ოკუპანტია ჩემთვის)? ვინმემ იქნება ამიხსნათ!**

● **ყველანი ციხეში! ნულოვანი ტოლერანტობა! — აცხადებდა თავისუფლების რაინდი.**

უფე ნე სმეშნო, ტო!

● **სახელმწიფო უნდა იყოს ეროვნული და არ უნდა გვჭირდებოდეს ეროვნული მოძრაობები დამოუკიდებელ სახელმწიფოში... ყველა ქმედება, რომელიც ეწინააღმდეგება საქართველოს მოქალაქეების კრებსით ინტერესებს, უნდა იყოს კანონით დასჯადი და მორჩა .. ეს არის სულ სახელმწიფო.... და ამას ქვია ნორმალური კონსტიტუცია... ძალიან ძნელია, ხომ პატივცემულო „მოაზროვნეებო“?**

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

◎ ალიანჩალიანი

„ფინანსთა სამინისტროს პირობის შემდეგ პარლამენტისათვის მიმართვა ცოტა გასაკვირია“

საქართველოს პარლამენტისადმი რვა სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების რექტორის მიმართვას თსუ-ს რექტორი განცხადებით ეხმაურება.

„თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი იყო ერთ-ერთი პირველი უმაღლესი სასწავლებელი, რომელმაც საბიუჯეტო კოდექსში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით მძაფრი რეაქცია გამოხატა. ჩვენ ოფიციალური წერილით მივმართეთ ფინანსთა და განათლებისა და მეცნიერების მინისტრებს, რის შემდეგაც ფინანსთა სამინისტროში გაიმართა სახელმწიფო უნივერსიტეტების რექტორებისა და კანცლერების შეხვედრა. ჩვენ შეხვედრაზე არგუმენტირებული მოსაზრებები და წინადადებები დავაფიქსირეთ. შეხვედრაზე ფინანსთა მინისტრმა განაცხადა, რომ უნივერსიტეტების წარმომადგენელთა ყველა შენიშვნას და წინადადებას გაითვალისწინებდნენ. შეგვპირდნენ, რომ უნივერსიტეტების შემოსავლებისა და ხარჯების სახელმწიფო ხაზინის ერთიან ანგარიშზე გადატანით, უნივერსიტეტების ავტონომიურობა არ იზღუდებოდა. ამ შეხვედრაზე ზოგიერთი უმაღლესი სასწავლებლის წარმომადგენელი მიესალმა კიდეც ცვლილებების პროექტს. ამიტომ ფინანსთა სამინისტროს პირობის შემდეგ, ჩვენთვის ცოტა გასაკვირია მიმართვა პარლამენტისადმი. ამის მიუხედავად, ჩვენთვის რომ შემოეთავაზებინათ, უნივერსიტეტების სოლიდარობის პრინციპიდან გამომდინარე, ამ მიმართვას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორიც მოაწერდა ხელს“, — აღნიშნა თსუ-ს რექტორმა ვლადიმერ პაპავამ.

მისივე განცხადებით, უნივერსიტეტის ავტონომიურობის განმტკიცებისთვის აუცილებელია შეიცვალოს მათი სამართლებრივი ფორმა და საჯარო სამართლის იურიდიული პირიდან დაუბრუნდნენ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სტატუსს. საბიუჯეტო კოდექსის ცვლილებების პროექტთან დაკავშირებით, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს და საქართველოს პარლამენტის წევრებს რვა სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლის რექტორმა მიმართა. მიმართვაში ნათქვამია, რომ დაგეგმილი ცვლილებები უნივერსიტეტების ავტონომიას საფრთხეს უქმნის.

ინტერპრესი

◎ მწერლის ტრიბუნა

აღტაცებაც, მგლოვარებაც, ოღონდ... შეკვეთით

ციკლიდან „დროის იეროგლიფები“

ავტობიოგრაფიულ რომანში „ცამეტი წელიწადი კინოში“ აკაკი ბაქრაძე ამ ფრაზასაც რომ ჩაურთავს:

— საბჭოურ მწერლობასა და ხელოვნებაში მთელი თემაა — შეკვეთით აღტაცება.

ადვილი მისახვედრია, რომ თვითონვე განეზრახა ამ თემის შესაფერისი გააზრება და იმგვარი მხატვრულ-დოკუმენტური თხზულების შექმნა, თავისებური გაგრძელება რომ იქნება „მწერლობის მოთვინიერებისა“; და მასავით დიდძალი საილუსტრაციო მასალის მოხმობით წარმოისახებოდა აბსურდულ-გროტესკული თუ სატირული სურათი ტრაგიკული სინამდვილისა.

ეს ფრაზა კი ჩართული გახლდათ იმ აბზაცში, როდესაც ავტორი სიტყვას ჩამოაგდებდა იმ მძიმედ, მტკივნეულად მიმდინარე პროცესზე, რასაც ერქვა მთიელების ჩამოსახლება ბარად.

საქართველო მთიანი ქვეყანა რომ არის და მისი საერთო კეთილდღეობა ყოველთვის მტკიცედ იყო დამოკიდებული მთის კეთილდღეობაზე?

მთა ქართველთა თავშესაფარიც რომ გახლდათ, ბეღელიც (ხორცი, მატყლი, ერბო-კარაქი, ყველი) და მეგანძეც (რა საჭურჭლეც გვქონდა, მტრისაგან იქ რომ ვიფარავდით)?

მაგრამ, აი, პარტიულ-სახელმწიფოებრივი კურსის განუხრელი მსვლელობა მოითხოვდა ქვეყნის საზოგადოებრივ-ეკონომიკური ყოფის სულ სხვაგვარ დაგეგმარებას და... კიდეც გადაწყდებოდა იმ ძალადობრივი პროცესის ხორცშესხმა.

ვინ დაგიდევდა ამ პროცესის არაბუნებრიობასა და ანტიჰუმანურობას, ოფიციალურ პრესას ისე უნდა წარმოეჩინა ეს ყოველივე, თითქოს მთიელებს ოცნება აღსრულებოდეთ და დიდი ხნის ნანატრს როგორც იქნა ღირსებოდნენ.

და კიდევ ერთი აუცილებლობა:

— მოწოდებას — მთიელები ბარში ჩასახლდნენო — ხელოვნება აღტაცებული უნდა შეხვედროდა.

ამ დაკვეთით გადაიღებდა კინოსტუდია ფილმს „ისინი ჩამოვიდნენ მთიდან“... მაგრამ შემდეგ რომ გამოტყდებოდნენ და აღიარებდნენ, რა საშინელება დატრიალდა მაშინ მთაში, ახლა საპირისპირო მოწოდება გადმოფრიალდებოდა და აუცილებელი გახდებოდა მთაში დაბრუნების აღნიშვნა ზეიმით.

— დავრბივართ ასე ზევით-ქვევით. ხან ჩამოსვლა გვიხარია, ხან — ასვლა. ხან ჩამოსვლას ვუკრავთ ტაშს, ხან — ასვლას. ხან ჩამოსვლა მიგვაჩნია უდიდეს ბედნიერებად, ხან — ასვლა.

ეს პასაჟი თავისებურად რომ მოუხდებოდა თხრობის მდინარებას, აკაკი ბაქრაძეს უკმარი მოეჩვენებოდა მისი გაელვება და მკითხველს მოიარებით გაუმჟღავნებდა განზრახვას, „შეკვეთით აღტაცების“ სულისკვეთებასაც უსათუოდ რომ აქცევდა ვრცელი განსჯის ქარგად, თუკი დასცალდებოდა.

თუ არა — დაე ანდერძივით გადაებარებინათ მისგან მკვლევარებს ამ თემის დამუშავებაც.

ჯერჯერობით... კვლავაც მომლოდინე ხელის შეხებისა.

ოღონდ ამასობაში პოსტსაბჭოური ეპოქაც მიაწვდის თავის წიაღში შობილ მასალებს, თავისებურ გაგრძელებას საბჭოური „შეკვეთით აღტაცებისა“.

რა გასაკვირია, ეს აღტაცება ჯერ ისედაც გადმოსულიყო ედუარდ შევარდნაძის ხელმეორე მმართველების ხანაშიც — საამისოდ საკმარისი გამოცდილება შეეძინა და იმ შთაბეჭდილებებისაგან ანკი რა გამოიხსნიდა, და ან მედროვე მწერლებსა და ხელოვანთ რა დააოკებდათ, მგზნებარედ რომ აჰყვებოდნენ ამ მოთხოვნას და... აგერ სოხუმისათვის ყოველგვარი დაცვის მოხსნაც ყველაზე გონივრულ სამხედრო ნაბიჯად შეერაცხათ...

მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლების ხანა ახალი შტრიხით გაამრავალფეროვნებდა ამ გეზს: შეკვეთილი გულშემატკივრობა რასაც ჰქვია, ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის აღნიშვნა შეკვეთილი დღესასწაულით.

შეკვეთილი პროტესტიც („აღტაცების“ მედლის მეორე მხარე — „მგლოვარებით“ გამოხატული) ამავე პარტიულ-პოლიტიკური კურსის ნაირსახეობად მოგვევლინებოდა, ბიძინა ივანიშვილის მმართველობის ჟამსაც რომ გადმოსწვდებოდა ამ ნაირსახეობით ის პოლიტიკური გუნდი, რომელიც ყოველგვარი მორალური და იურიდიული წესითა და კანონით საერთოდ ჩამოცილებული უნდა იყოს საზოგადოებრივ ასპარეზს.

შეკვეთილი ანუ — კეთილშობილური, ჩვენთვის სასიცოცხლო მოწოდების: „ᲐᲠᲐ ᲝᲙᲣᲞᲐᲪᲘᲐᲡ“ — გაყალბებითა და გამასხრებით, რადგანაც მათგან მარტოდენ გარეგნულია ამგვარი პროტესტი, მთიელთა ჩამოსახლების პროცესისა არ იყოს, ტრაგედიას დღესასწაულად რომ შეგვიმოსავდნენ, ამჯერად კი ტრაგედია ფარსად წარმოგვიდგებოდა.

ფარსზე მეტი გაყალბება და გამასხრებაც რაღა შეიძლება იყოს.

მით უმეტეს, შენს ყველაზე მტკივნეულ ჭრილობას რომ ეხებიან ტლანქად და უდიერად.

და... ის ადამიანები, რომელნიც 2008 წლის აგვისტოს ომში სასტიკ მარცხს... დღესასწაულით აღნიშნავდნენ, თითქოს გამარჯვება გვეზეიმოს.

ასეთივე ფარსს დაგვიდგამდნენ არასამთავრობოებად მონათლული ორგანიზაციებიც, თითქოსდა ოჯახური ძალადობის აღსაკვეთად რომ გამართავდნენ საყოველთაო საპროტესტო გამოსვლას და... იმედგაცრუებულნი დარჩებოდნენ, ძალზე ცოტა ხალხმა მოიყარა თავიო.

ნეტა რას ელოდნენ, ნაციონალთა პარტიული მიტინგისა არ იყოს, კეთილშობილური ნიღაბი ვითომ დაფარავდა მათ ნამდვილ მიზანს და მოწოდება: „არა ძალადობას“ — ხალხს აფიქრებინებდა, მართლა ოჯახის წევრთაგან გამეტებულ ქალებს იფარავდნენ, მათი მდგომარეობის გაუმჯობესებაზე ზრუნავენ და მათ ბედზე ფიქრში ღამეები არა სძინავთო?

ეს არასამთავრობოები ხომ ნაციონალური პარტიის უჯრედებია, ერთიანი იდეოლოგიით გაჟღენთილნი და შემსჭვალულნი ერთმანეთს და ეს შეხმატკბილება ისე თვალნათლივ ცნაურდება ხოლმე, ყველას ვეღარ უბამენ თვალს. თუმცა, ამას რას დაგიდევენ ეს **ჩვენი ტელევიზიები შეკვეთით აღტაცებისა თუ მგლოვარების დაუსრულებელ სურათებს** რომ გვიტრიალებენ თვალწინ — სერიალებივით გამოშიგნულს.

კეთილშობილურ გრძნობათა და სწრაფვათა გაბიაბრუება და დისკრედიტაციაც საბჭოური ეპოქიდან გადმოსცემია ამ ახალი დროის ბოლშევიკურ გვარდიას, საბჭოურ ეპოქაში კი თვით დაკვეთილი მონანიებაც რომ იჩენდა თავს.

გამოცვივდებოდნენ ტელეეკრანსა თუ პრესის ფურცლებზე ნაფიცი კრიტიკოსები და თავზე ნაცარს დაიყრიდნენ: ავცდით სალიტერატურო პროცესს, ჯეროვნად აღარ ვასრულებთ ჩვენს მოვალეობას და სავსებით მართალნი არიან მწერლები, ქვასა და გუნდას რომ გვაყრიანო.

რაღა მორწმუნე — მღვდლის წინაშე და რაღა ისინი — მთელი საზოგადოების თვალწინ!..

ეს ამდენი მომნანიე, ამდენი მოაღსარებე მაინც საიდან გამოგვეცხადებოდა?

პარტიული მოთხოვნა და დადგენილება გახლდათ, კრიტიკას თავი დამნაშავედ გამოეცხადებინა... და ეს იმიტომ, რომ ძველებური ძალღონით ვეღარ ასრულებდა პოლიტიკური დამსმენის ფუნქციას. და მათი ეს ერთსულოვანი მონანიება სინამდვილეში გულისხმობდა, ცოტა რომ შევანელეთ მწერლობის რბევა, კვლავინდებურად მოვიკრებთ ძალას, მთავარია, ხელისუფლებამ ისევ გამოგვიცხადოს ნდობა და შესაფერისი უფლებებითაც აღგვჭურვოსო.

მონანიებას რომ გაგიპამპულებენ და მის არსსა და დანიშნულებას სრულიად ამოგიყირავებენ, აღსარებას სულს გამოაცლიან, ამის შემდეგ რაღა გაგიკვირდეს...

პოსტსაბჭოურ ეპოქაშიც კვლავაც მთელ თემად რჩება შეკვეთით აღტაცება, და ამ მედლის მეორე მხარე — შეკვეთით მგლოვარება.

ეგაა, რომ აღარა და აღარ მთავრდება მასხარათა ფერხული, შეკვეთით აღტაცების დავლური.

ცალკე მიედინება ცხოვრება და ცალკე — მისი ტელევერსია.

ჩვენ კი... დავდგეთ და ვაგროვოთ მასალები ოცნების წიგნისათვის, რომელიც ვაითუ ვეღარც ვეღარასოდეს დაიწეროს...

როსტომ ჩხეიძე

◎ განსჯა

ბაბუშარაში დაღუპულები დიღმის ძმათა სასაფლაოზე დაკრძალეს

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი სამების საკათედრო ტაძარში ბაბუშარას ტრაგედიის დროს გარდაცვლილი ქართველი მებრძოლების სამოქალაქო პანაშვიდს დაესწრო.

პრეზიდენტმა პატივი მიაგო ვასიკო და ნუკრი წიკლაურების, თემურ და ზურაბ ზალდასტანიშვილების ხსოვნას — ბაბუშარას აეროპორტში თვითმფრინავის აფეთქებისას ერთი ოჯახიდან ოთხი ქართველი მებრძოლი დაიღუპა.

„დღეს ჩვენ კიდევ ერთხელ მივაგებთ პატივს იმ ხალხს, ვინც საკუთარი სიცოცხლე შეწირა ჩვენი ქვეყნის მთლიანობასა და სიძლიერეს. ყველას გვახსოვს, ამ ადამიათა გმირობა. დარჩა დიდი ტკივილი. კარგია ის, რომ ამ ჭრილობების მოსაშუშებლად კონკრეტულ ნაბიჯებს ვდგამთ. მინდა, მადლობა ვუთხრა ყველას, ვინც ამ ბიჭების გადმოსვენებას შეუწყო ხელი და მათ, ვინც მონაწილეობს ჩვენი საერთო ტრაგედიის, ჩვენი ჭრილობების მოშუშებაში“, — განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა.

ოთხივე მებრძოლს სამხედრო პატივით დიღმის ძმათა სასაფლაოზე გუშინ დაკრძალეს.

ბაბუშარას აეროპორტში აფეთქება 1993 წლის 22 სექტემბერს მოხდა.

იანვარში აფხაზეთიდან კიდევ 12 ნეშტის გადმოსვენება მოხდება

ᲝᲙᲣᲞᲘᲠᲔᲑᲣᲚ ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრ სოზარ სუბარის ინფორმაციით, იანვარში კიდევ 12 ნეშტის გადმოსვენება მოხდება. ამის შესახებ სუბარმა სამების საკათედრო ტაძარში განაცხადა, სადაც იგი ბაბუშარას ტრაგედიის დროს დაღუპული ოთხი მებრძოლის სამოქალაქო პანაშვიდს დაესწრო.

„ეს პროცესი დავით დარახველიძემ დაიწყო და მართლაც ძალიან კარგად მიმდინარეობს. უკვე იდენტიფიცირებულია კიდევ 12 ადამიანი და ეს პასუხები ალბათ მალე გადმოგვეცემა. იანვარში ველოდებით ახალ ეტაპს ამ 12 ნეშტის გადმოცემას“, — განაცხადა სოზარ სუბარმა.

მისივე ინფორმაციით, პარალელურად გრძელდება ახალი მიცვალებულების ნეშტების მოძიების პროცესი, როგორც ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე, ისე ყველგან სხვაგან, სადაც შეიძლება იყოს ეს საფლავები.

◎ განსჯა

საით?

ᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲙᲘᲗᲮᲕᲐ, რომელიც განსაზღვრულია თვით ისტორიის, როგორც ზოგადსაკაცობრიო პროცესის მნიშვნელობით. იგი ეხება კაცობრიობის აწმყოს და მომავალს, რაც განუწყვეტელი პროცესია და, როგორც წმინდა ავგუსტინე აღნიშნავდა, არაფერი რომ არ მომხდარიყო, არც აწმყო იქნებოდა და არც მომავალი. ისტორია განუწყვეტელი მოძრაობაა, მაგრამ არა ყოველთვის აღმავალი.

დღევანდელი მსოფლიო თავისი გლობალური საშინელებებით, ლოკალური, პერმანენტული ომებით, იმპერიალისტური პოლიტიკით, ულტრანაციონალური იდეოლოგიით, ტოტალიტარიზმით საზოგადოებას ყველა სფეროში, საფრთხეს უქმნის ისტორიის პროგრესულ განვითარებას, ბადებს პესიმიზმს, შიშს. ადამიანები თითქოს საკონცენტრაციო ბანაკებში, არსებობის არარსებობის განცდაში იმყოფებიან. ჰაიდეგერი ლაპარაკობს შიშზე, ადამიანს რომ დაუფლებია. შეშფოთება და შიში — ეს არის ადამიანის სამყაროში ყოფნა. იგი გაურბის არსებობის პასუხისმგებლობას და ითქვიფება უპიროვნო man-ში. სწორედ მაშინ იქმნება საზოგადოების ჯოგად გადაქცევის საშიშროება, იგი ავანტიურისტული ხელისუფლებისთვის ადვილად მართვადია. რაც უფრო პასიურნი, გაუნათლებელნი არიან ადამიანები, მით უფრო ძლიერი გახლავან ე. წ. პოლიტიკოსები, რომლებიც ვერ ეგუებიან განათლებულ, ღირსეულ ადამიანებს. განა ამიტომ არ აიძულეს სოკრატე, შეესვა საწამლავი? განა ამიტომ არ დაჯეს ქრისტე? განა სააკაშვილის პოლიტიკის მსხვერპლი არ გახდა ათასობით უდანაშაულო ადამიანი? ჩვენი ნაციონალი პოლიტიკოსების მოქმედებანი სხვა არაფერია, თუ არა დესტაბილიზაციის დამკვიდრება, ქვეყნის ღალატი.

პოპერი თვლის, რომ სახელმწიფოებრივი პოლიტიკის ისტორია სხვა არაფერია, თუ არა საერთაშორისო დანაშაულებათა ისტორია. პოლიტიკის არაეთიკურობამ გადააქცია მსოფლიო ძალადობის უკიდეგანო სცენად.

პოლიტიკასთან დაკავშირებით საინტერესო აზრს გამოთქვამს მეოცე საუკუნის უდიდესი მოაზროვნე ოშო: **„პოლიტიკა — ეს ბიზნესია, სიცრუეზე დამყარებული, პოლიტიკა თაღლითობა და პირფერობაა. პოლიტიკოსი ადამიანთა გონების უკმარისობის ხარჯზე ცხოვრობს“.**

მცდარია აზრი, რომ პოლიტიკაში არსებობენ მეგობრები. პოლიტიკაში არსებობს მხოლოდ ინტერესები და რომ ევროპასა და ამერიკას ჩვენს მიმართ ამოძრავებს სწორედ სტრატეგიული ინტერესები.

პასუხი კითხვაზე — „საით“ ოპტიმისტები იქნება იმ შემთხვევაში, როცა ათვლის წერტილად მივიღებთ მორალურ იმპერატივს, როცა სახელმწიფო იმოქმედებს მაღალი ეთიკური პრინციპებით, როცა ერი იქნება განათლებული, პასუხისმგებელი თავისი თავისა და სხვების მიმართ, როცა ინდივიდუალური ეთიკა გახდება განმსაზღვრელი სოციალური ეთიკისა.

ლონდა მდივანი

„გადაგვაგდეს“?

საქართველოს მთავარი პრობლემა მოსმენებია?

ვუსმენ, ვუყურებ, ვკითხულობ რა ქართულ მედიას და პრესას, მეტადრე ე.წ. ქართველ პოლიტიკოსებს, ექსპერტებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს, ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ საქართველო სხვა პლანეტაზე მდებარეობს, დანარჩენი ქვეყნები სხვაზე. ზემომოყვანილთა აზროვნება სხვაა და იმათი, ვინც „სხვა“ პლანეტაზე ცხოვრობს – სხვა. ეს შეგრძნება მაშინ გამიძლიერდა, როცა ძალაუნებურად იძულებული გავხდი პირველი კომენტარი მომესმინა მოსმენებთან, ანუ მიყურადებასთან დაკავშირებით.

მას შემდეგ ლამის ერთი წელიწადი გავიდა და ნაცვლად იმისა, ზემოჩამოთვლილებს რეალობისთვის მოეხმოთ და „პლასტინკა“ გადაებრუნებინათ, პირიქით, გააააქტიურეს ლაპარაკი და იმ ზომამდე მიიყვანეს, რომ პარლამენტმა საუკეთესო „უიკენდი“ მოსმენების თემაზე დახარჯა.

ერთი სიტყვით, ისე დაიძაბა ვითარება, მედიამ ისე წარმართა თავისი მუშაობა, რომ ცოტა დააკლდა საზოგადოება ერთმანეთს შებმოდა, თანაც ისეთ საკითხში, რომელიც, დღევანდელი საქართველოს პირობებში, სულაც არ უნდა იქცეოდეს ესოდენ მოჭარბებულ ყურადღებას. ქვეყანას, რომელსაც ნამდვილად დიდი დეფიციტი აქვს სახელმწიფოს განვითარებისთვის საჭირო კანონმდებლობის თვალსაზრისით, უამრავ დროს ფლანგავს იმაში, რასაც „მოსმენების“ კანონი ვერც ვერასდროს მოაწესრიგებს.

არის თუ არა ყოველივე ეს გულუბრყვილობა ზემოჩამოთვლილთა მხრიდან? არა! ეს, უფრო მზაკვრობა, საკუთარი მოსახლეობისთვის თვალში ნაცრის შეყრაა და მეტი არაფერი.

როდესაც ქვეყნის ეკონომიკა არასახარბიელო მდგომარეობაშია, ლარის კურსი სხვა ვალუტებთან შედარებით – დაცემული; როდესაც კვების პროდუქტებზე კატასტროფულად იზრდება ფასები; როდესაც ხელისუფლება, წინა ხელისუფლების მიერ სამათხოვრო 20 ლარსაც ვერ იმეტებს ზამთრის თვეების გადასატანად და 10 ლარს აკლებს მას; როდესაც განუკითხაობას აქვს ადგილი თითქმის ყველა სფეროში;

როდესაც თბილისის მერი მამალ ტყუილს უგორებს ზოგიერთი ქუჩის მცხოვრებთ – რეკონსტრუქცია ოქტომბერში დავიწყეთ და ნოემბრის ბოლოს დავამთავრებთო (ჯერაც არ არის დამთავრებული), არადა, რეკონსტრუქცია ივნისშია დაწყებული; როდესაც, ვისაც ფული აქვს, ტროტუარზე აშენებს მცირე არქიტექტურის ნაგებობებს კაფეების, ბარების, მაღაზიების, აფთიაქების სახით და მერია თვალს ხუჭავს ამ უწესობაზე;

როდესაც აღმასრულებელ-საკანონმდებლო ხელისუფლება მხოლოდ საკუთარი კეთილდღეობითაა დაკავებული, რაც არა მარტო ხელფასების გაზრდაში, ხელფასებზე დანამატების დაწესებასა და პრემიების მიღებაში გამოიხატება, არამედ ძვირად ღირებული პერსონალური ავტომანქანების, მობილური ტელეფონების, პლანშეტების შეძენაში; როდესაც ხელისუფალთა გამუდმებულ უცხოურ მივლინებებში ასეულ-ათასობით დოლარი იხარჯება, უკანონო თუ კანონიერი მოსმენების თემით ჟონგლიორობა საძრახი საქმეა.

საქართველოს საკანონმდებლო-აღმასრულებელმა ხელისუფლებამ ოქროს დრო დახარჯა იმ საქმის მოსაწესრიგებლად, რომლის მოწესრიგება შეუძლებელია. და შეუძლებელია რატომ? იმიტომ, ძვირფასო იმანოებო, რომ კაცობრიობის მრავალსაუკუნოვან ნაღვაწს, რასაც მიყურადება ჰქვია, ვერც ერთი არასამთავრობო, მითუმეტეს ხელისუფლება წინ ვერ აღუდგება.

რა არ იღონა კაცობრიობამ ერთმანეთის მოსმენის დასახვეწად და ამ საქმეში ისეთი „ნოუ-ჰაუს“ ჩასადებად, მამაზეციერი რომ ვერ მოიფიქრებდა. მოიფიქრეს! და არა მარტო მოიფიქრეს, ცხოვრებაშიც დანერგეს და ასე და ამრიგად, ვუსმენთ ერთმანეთს, სხვადასხვა საბაბით, ხშირად უსაბაბოთ.

ირანის ერთ-ერთი შესანიშნავი, შუასაუკუნეების ძეგლის დათვალიერების დროს, ერთ დარბაზში, კედლებზე დატანებულმა ღრმულებმა მიიპყრო ჩემი ყურადღება და როდესაც მასპინძელს ვკითხე მათი დანიშნულების შესახებ – ყური მიმადებინა და ჰოი, საოცრებავ, დარბაზიდან შორს არსებულ ოთახში მყოფთა ლაპარაკი მოვისმინე. დარბაზსა და ოთახს (ოთახებს) ერთმანეთთან კედლებში დატანებული მოსასმენი არხი ჰქონდა.

მას შემდეგ მრავალმა საუკუნემ განვლო, განვითარდა მეცნიერება, ელექტრონიკა და მათთან ერთად მოსმენის ტექნოლოგია. მიყურადება, მოსმენა ნიშნავს ინფორმაციის მიღებას, თანაც ისეთის, რაც სხვა შემთხვევაში შეუძლებელია. ადამიანი გაცილებით გულახდილია სახლში, ოჯახურ გარემოში ან ნაცნობ-მეგობრებში, ინტიმურ კამპანიაში, რაც თავისთავად ბადებს სწორედ იმ სანუკვარ ინფორმაციას, რომლის მიღებაც უმნიშვნელოვანესია მეორე ადამიანისთვის.

მოსმენებს რომ დიდი მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო ცხოვრებაში – მტკიცება არ სჭირდება. ქვეყნები უსმენენ ერთმანეთს, ისე, როგორც ერთი ქვეყნის პოლიტიკოსები მეორე ქვეყნის პოლიტიკოსებს.

ცნობილი ამბავია – ვენაში, აშშ-ის პრეზიდენტთან შეხვედრის დროს, საბჭოთა კავშირის ლიდერს ბრეჟნევს მოსასმენ-დიაგნოსტიკური აპარატურა დაუმონტაჟეს სასტუმროს იმ ნომერში, სადაც ის ცხოვრობდა. მოსასმენ-დიაგნოსტიკური აპარატურა იყო მიერთებული საწოლზე, უნიტაზზე, აბაზანაზე. მიზანი მოსმენისა იყო – გენერალური მდივნის ჯანმრთელობის შესწავლა და იმის დადგენა, კიდევ რამდენ წელიწადს იცოცხლებდა ის. ამერიკელთა გამოკვლევა ზუსტად დაემთხვა სინამდვილეს – ბრეჟნევი იმ ვადებში „ჩაეტია“, რაც აპარატურამ ივარაუდა.

ერთობ გახმაურებული თემა იყო მოსკოვში აშშ-ის საელჩოს რეკონსტრუქცია, რომელიც ადგილობრივმა სამშენებლო ორგანიზაციამ განახორციელა. შენობის ექსპლუატაციაში გადაცემის წინ, ამერიკის სპეცსამსახურებმა შეამოწმეს შენობა და ჰოი, სასწაულო – შენობის ყველა კედელში ჩამონტაჟებული მოსასმენი აპარატურა აღმოაჩინეს. ამ ამბავს დიდი „სკანდალი“ მოჰყვა. ამერიკელები იძულებული შეიქმნენ თავიდან შეეკეთებინათ შენობა.

გავიხსენოთ 1943 წლის თეირანის „დიდი სამეულის“ – აშშ-ს, საბჭოთა კავშირისა და დიდი ბრიტანეთის ლიდერების კონფერენცია. იმჟამინდელი თეირანი ფაშისტური გერმანიის ჯაშუშებით იყო სავსე. დაზვერვის სამსახურების მიხედვით, იგეგმებოდა ლიდერებზე ტერორისტული თავდასხმა. კონფერენციის გამართვა დაგეგმილი იყო საბჭოთა საელჩოში, რომელიც მოცულობით გაცილებით დიდი იყო, ვიდრე აშშ-ის და ინგლისის, თან გაცილებით კარგად დაცული.

აშშ-ის პრეზიდენტ რუზველტს საბჭოთა საელჩომდე მისასვლელად თეირანის ვიწრო ქუჩებში უნდა გაევლო, რაც თავისთავად გაუადვილებდა გერმანელ ტერორისტებს მასზე თავდასხმას. მოსალოდნელი თავდასხმის თავიდან აცილების მიზნით, სტალინმა რუზველტს, საცხოვრებლად საბჭოთა საელჩოს ის ფლიგელი დაუთმო, სადაც თვით ცხოვრობდა. თვითონ შედარებით პატარა ფლიგელში განთავსდა. როგორც ამბობენ, მასპინძლობას სხვა მნიშვნელობაც ჰქონდა – მოსმენა. რუზველტის სათავსებში უმალ ჩამონტაჟდა მოსასმენი აპარატურა.

თანამედროვე ტექნიკა ისეთ დონეზეა განვითარებული, რომ ერთმანეთის მოსმენა გაცილებით იოლია, ვიდრე თუნდაც 5-10 წლის წინათ. ასანჟისა და სნოუდენის ინფორმაციებმა ახალი სინათლე მოჰფინა აშშ-ს როლს მსოფლიოს მოსმენის საკითხში.

აშშ-ს სპეცსამსახურები 24-საათიან რეჟიმში უსმენენ არა მარტო მეტოქე ქვეყნების პოლიტიკოსებსა და მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს, არამედ მოკავშირე ქვეყნების პოლიტიკოსებს, რაც თავისთავად იწვევს სამართლიან უკმაყოფილებას მოსმენილთა შორის, თუმცა, ამით დიპლომატიური ურთიერთობა არ გაწყვეტილა. გერმანიის კანცლერმა მერკელმა გულდაწყვეტით თქვა – უმჯობესი იქნებოდა ნამდვილი, სასიკეთო საქმეების კეთება, ვიდრე მოსმენაო. ეს იყო და ეს.

ჩვენთვის კარგად ცნობილმა აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწე ნულანდმა ყოველგვარი რევერანსის გარეშე ბრძანა – „დიახაც, უნდა მოვუსმინოთ მერკელს, სხვა მოკავშირეებს, რადგან უნდა ვიცოდეთ, რით სუნთქავენ ისინიო“. თან ამ ნათქვამს საყვარელი სიტყვა “fuck” დაუმატა.

2008 წელს გამოვიდა აშშ-ის ყოფილი ვიცე-პრეზიდენტ გორის წიგნი „შეტევა აზროვნებაზე“, სადაც ის წერს: „მოქმედი ადმინისტრაცია (ბუშ-უმცროსი) აცხადებს თავის უფლებას, გახსნას ნებისმიერი წერილი, რომელსაც თქვენ იღებთ აშშ-ის ფოსტით; მოუსმინოს თქვენს სატელეფონო ლაპარაკს, თუკი მიზანშეწონილად ჩათვლის.

ადმინისტრაცია აცხადებს, რომ ამას მხოლოდ „უკიდურესი აუცილებლობის“ შემთხვევაში განახორციელებს, მაგრამ რა არის „უკიდურესი აუცილებლობა“, როდესაც მას ადმინისტრაცია წყვეტს – არ ეკითხება რა სასამართლო ინსტანციებს. პრეზიდენტმა შექმნა დოკუმენტი, რომელიც მას უფლებას აძლევს განკარგულება, გაიხსნას ნებისმიერი წერილი, სასამართლო ორგანოების თანხმობის გარეშე. თუ ფედერალურ მთავრობას სურს – მას შეუძლია ინტერნეტ-საიტების გაკონტროლება, ელექტრონული ფოსტის ნახვა, სატელეფონო საუბრების მოსმენა“.

კანონი „პატრიოტიზმის“ შესახებ მიღებულ იქნა 2001 წლის 11 ოქტომბერს. მან გააიოლა ხელისუფლების მიერ მოქალაქეებზე კონტროლი – სატელეფონო საუბრებზე, დაავადებათა ისტორიის გაგებაზე, თუნდაც იმაზე, რა წიგნები გამოაქვს მოსახლეობას ბიბლიოთეკებიდან. კანონით შეიძლება უცხოელთა დაკავება ერთი თვით და მეტით და მათთვის დახურული სასამართლოს მოწყობა.

ჩვენი „პოლიტიკოსი“ „გოგო-ბიჭების“ განცხადებით, აშშ საქართველოს სტრატეგიული პარტნიორია. და თუ ნამდვილად ასეა (მე ეჭვი მეპარება), მაშინ რატომ არ იქცევი ისე, როგორც ის?

სტრატეგიული პარტნიორობა ნიშნავს – ყველა საკითხში პარტნიორობას და არა შერჩევით. ეს კარგად იცოდნენ სააკაშვილმა და მისმა ბანდამ, რომელთა დაკვეთით და ამერიკელთა დახმარებით (აპარატურა, ტექნოლოგია) საქართველო თანამედროვე მოსმენის სისტემებით აღიჭურვა.

ძნელად შეხვდებით დედამიწის ზურგზე ქვეყანას, რომელსაც საკუთარი ან სხვისი ხალხის მოსმენით არ იყოს დაკავებული. ის, ვინც ამას არ აკეთებს, უბრალოდ ფინანსური შესაძლებლობა არ აქვს. ასე რომ, ე.წ. პოლიტიკოსთა და არასამთავრობო ორგანიზაციათა მოჭარბებული ყივყივი მოსმენებთან დაკავშირებით ჭიქაში დატრიალებული ქარიშხალია და მეტი არაფერი, რომლის მთავარი მიზანი - უმნიშვნელოვანესი საკითხებიდან მოსახლეობის ყურადღების გადატანაა.

მეორე საკითხი, რაც აგერ უკვე 20 წელიწადია, ყურს ხვდება – საქართველოს ნატოში და ევროკავშირში გაწევრებაა. თემა ერთობ მომაბეზრებელია.ხელისუფლება რაღაცის შეცვლისა ან რიტორიკის შენელების ნაცვლად, პირიქით მოქმედებს. როდესაც აშშ-ის პრეზიდენტი ობამა იტყვის, საქართველოსთვის ნატოში შესვლა ნაადრევიაო, ის აღარ უნდა გადაამოწმო სხვა პოლიტიკოსებთან, თუნდაც სენატორ მაკკეინთან და ისე უნდა იმოქმედო, როგორც იმ დიდმა ბატონმა დაგმოძღვრა.

საქართველოს ხელისუფლება კი, როგორ იქცევა? პირიქით, არათუ ცვლის რიტორიკას, ისე აჩვენებს საზოგადოებას, თითქოს ევროკავშირიც და ნატოც სულ იმაზე ფიქრობენ, როდის შევა საქართველო „ღია კარში“.

როგორც ჩანს, აშშ-ის პრეზიდენტის ნათქვამი ჩვენს ხელისუფლებას ნაბახუსევზე წამოსროლილი ფრაზები ჰგონია და ამიტომაც ვერ ამუხრუჭებს რახანია დიდი სისწრაფით მქროლელ ვერბალურ თუ ეპისტოლარულ განწყობას, PR-ი რომ ჰქვია.

მეტი რაღა უნდა ითქვას, რაც ობამამ თქვა? არც არაფერი.

შეიცვალა მას შემდეგ რამე ხელისუფალთა რიტორიკაში? არც არაფერი. და არა მარტო ხელისუფლების, არამედ ე.წ. ექსპერტების რიტორიკაშიც არაფერი შეცვლილა. ჩვენ, ისევ ვამტვრევთ ნატოსა და ევროკავშირის კარს იმის მოლოდინით, რომ ვინმე გაგვიღებს. გაგვიღო კიდევაც, ოღონდ არაშესაპატიჟებლად, არამედ იმის სათქმელად, ნაადრევი სტუმრობა მოგვიდათ და ჯერჯერობით მასპინძლობას ვერ გაგიწევთო.

ეს-ესაა ორი მაღალჩინოსნის განცხადება მოვისმინეთ – ერთი ნატოს გენერალური მდივანი სტოლტენბერგია და მეორე გერმანიის ვიცე-კანცლერი, საგარეო საქმეთა მინისტრი შტაინმაიერი. პირველმა თქვა უკრაინაზე – ამაოა ამ ქვეყნის ხელისუფალთა მცდელობა ნატოში შესვლასთან დაკავშირებითო და უკრაინას საქართველოც მიაყოლა, როგორც რაღაც დანამატი.

სტოლტენბერგი ახალი კაცია, მაგრამ, როგორც ჩანს, ქართველ ვაიპოლიტიკოსთა მხრიდან უკვე იმდენად გაბეზრებული, (ცხადია, არანაკლებად უკრაინელთა მხრიდან), რომ დიპლომატიურ ეთიკეტს შეეშვა და პირდაპირ გვაჯახა – არაო!

მაგრამ მერე რა? ჩვენმა ხელისუფლებამ ხომ არ „იჯახა“! ის, როგორც პიტალო, სალი კლდე, ნატოს სადარაჯოზე მყოფი, თანაც ნატოს წევრებზე მეტად, ისევ ძველ „პლასტინკას“ ატრიალებს - ძველებური მოთხოვნით - ავღანეთში რომ ვომობთ, ეს იმისთვის, ნატოში რომ შეგვიშვათო, თხოვნაში, კატეგორიული მოთხოვნის ჩართვით. არაო, გვითხრეს, ჩვენ კი, როგორ თუ არაო, ვაცხადებთ.

ცხადია, გულდასაწყვეტი იყო შტაინმაიერი – მისი ნათქვამიდან გამომდინარე, ვერც უკრაინა და ვერც საქართველო ევროკავშირის წევრობას ვერ ეღირსება. არადა, რა „შალახო“ ავაჟღერეთ ასოციირების ხელშეკრულების პარაფირების ცერემონიალზე; რა ცრემლები აღვარღვალა მაშინდელმა საგარეო საქმეთა მინისტრმა ფანჯიკიძემ – ამ ისტორიულ დღეს მოვესწარიო, რომ გაჰკიოდა.

მაინც რა უმადურები არიან ბრიუსელელი პოლიტიკოსები – ასეთი „შალახოს“ შემდეგ, უმალ როგორ არ უნდა გაეწევრებინათ საქართველო ევროკავშირში?

ხუმრობა იქით იყოს და საღი თვალით შევხედოთ თითოეულმა უკრაინელმა და ქართველმა ჩვენს თავს – ვართ ევროკავშირში შესვლის ღირსნი?

უკრაინის ამბებმა, ბოლო ერთი წლის განმავლობაში დატრიალებულმა, ევროპას გაახსენა ფაშიზმი და მისი „სიკეთეები“

რაც შეეხება ეკონომიკურ საკითხებს – უკრაინა ევროპისთვის ძნელად ასაწევი ტვირთია. უკრაინის დაცემული ეკონომიკის ფეხზე დასადგომად ყოველწლიურად 25 მილიარდი ევროს გამოყოფა იქნება საჭირო, რასაც ვერც ევროკავშირი და ვერც რომელიმე კავშირი, თანაც ერთად აღებული, ვერ შეძლებს.

დაახლოებით ანალოგიური ვითარებაა საქართველოსადმი. არც საქართველოს ეკონომიკას აქვს ის ნიშნები, ევროპას რომ გამოადგეს. საქართველოზე ათჯერ განვითარებული, თანაც ევროპაში მდებარე ბულგარეთ-რუმინეთს, ბალტიისპირა ქვეყნებს არაფერი ეშველათ ევროკავშირში ყოფნის შედეგად და რაღა საქართველოს ეშველება?

ასე ფიქრობენ პრაგმატული ევროპელები. ისინი იმასაც ფიქრობენ, რომ 20 წლის განმავლობაში საქართველოში ჩაყრილმა გრანტებმა, სხვადასხვა სახის ფინანსურმა „ოყნებმა“ დიდი ვერაფერი შედეგი გამოიღო – გარდა ერთისა, შეიქმნა მმართველი პოლიტიკური ელიტა, წურბელათა გუნდი, რომელიც საკუთარ ხალხსაც წოვს სისხლს და უცხოელსაც. ევროკავშირს ჰყავს ასეთი წევრები, საბერძნეთის, ზემომოყვანილი ქვეყნების სახით, რაც სრულიად საკმარისია სიმწარის განცდის მოსაგვრელად. რატომ უნდა აიტკივოს თავი გერმანიამ, ევროკავშირის ლოკომოტივად წოდებულმა ქვეყანამ ან, ვთქვათ, ბელგიამ საქართველო-უკრაინის შეყვანით ევროკავშირში და მათი გამოკვებით?

პრაგმატიკოს ევროპელს უჭირს იმის გათავისება, რომ ვიღაც უკრაინელის და ქართველის გამო მან უნდა გაიუარესოს თავისი სოციალური ყოფა. ბელგია ერთ სულ მოსახლეზე ეროვნული პროდუქტის წარმოებით მსოფლიოში მე-14-ე ადგილზეა. სიღარიბის ზღვრად ითვლება თვიურად 900 ევროზე ნაკლები შემოსავალი. საშუალო ხელფასი 2-3 ათასი ევროა. 30 წელზე მეტი ასაკის ბელგიელი, რომელიც არ ცხოვრობს საკუთარ სახლში, წარუმატებლად ითვლება.

ევროპელები მართლებიც არიან და მტყუანებიც. მართლობაზე უკვე ვთქვით, რაც შეეხება მტყუანობას, ვიტყვი, რომ პოლიტიკური მიზნებიდან გამომდინარე – შეგვაცდინეს. პოლიტიკური მიზნები, ამერიკელთა მიერ ჩამოყალიბებული, რუსეთთან მეტოქეობაა, რუსეთის მტრულად განწყობილი ქვეყნებით შემორკალვაა.

კარგად მახსენდება ევროკავშირის ყოფილი შეფის ბაროზუს განცხადება, პატარა საქართველოს გზა ეხსნება დიდი ევროპული ბაზრისკენო და. ა.შ. მაშინ არავის დაუსვამს კითხვა, რას შექმნიდა საქართველო ისეთს, ევროკავშირში რომ გაეტანა გასაყიდად. სერიოზულად არც არავის უფიქრია და დღესაც არავინ ფიქრობს, რომ ასოციირებული წევრობა გრძელი, მრავალწლიანი რიგში დგომაა, რომელსაც ან გაუძლებ, ან არა.

ევროპამ მხოლოდ პოლიტიკური თვალსაზრისით მიიბა საქართველო და უკრაინა საკუთარ ზღურბლთან, რათა ევრაზიულ კავშირში არ შევსულვიყავით. ევროპამ „გადაგვაგდო“, თუმცა, ამის გამოსწორება შეუძლებელი არ არის.

ჰამლეტ ჭიპაშვილი,
პოლიტოლოგი.

ალტერნატიული მომავალი - საქართველოს ადგილი გლობალურ სამყაროში

თავიდანვე უნდა ვთქვათ, რომ ჰეროდოტეს მსოფლიო რუკის (ძვ.წ. 450 წ.) გეოგრაფიულ ცენტრში(!) საქართველოს სახელმწიფოა. მსოფლიო კი ხმელთაშუა ზღვის მიმდებარე ქვეყნებით და ძირითადად უცნობი მიწებით შემოიფარგლება. ამ დროისთვის და ამ რუკაზე, კონტინენტური ევროპის არც ერთი სახელმწიფო არ ფიქსირდება — სიცარიელეა, თავისუფალი მიწებია. მხოლოდ ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანებისათვის დაამთავრეს ძველმა ბერძნებმა სამხრეთ ევროპის გამოკვლევა, ხოლო დაახლოებით ძვ. წ. 320 წელს აღმოაჩინეს დასავლეთ ევროპის სანაპირო. რომაელები კი ევროპის შესწავლას ძვ. წ. II საუკუნიდან იწყებენ იულიუს კეისრის ლაშქრობებით.

დღეს ამ კონტინენტზე ცხოვრობს 6 ენობრივი ოჯახის 209 ენაზე მოლაპარაკე ხალხი. ევროპის პოლიტიკურ რუკაზე მთლიანად ან ნაწილობრივ განლაგებულია 49 სუვერენული სახელმწიფო, მათ შორის, საქართველო, ოღონდ ამჯერად — ამ ცივილიზაციის პერიფერიული ზონაში.

მოხდა ისე, რომ ევროპული სიცარიელის — თავისუფალი მიწების აღმოჩენის შემდგომ, თითქმის უწყვეტი აღმავალი განვითარების შედეგად, ამ კონტინენტზე მსოფლიოში ყველაზე დაწინაურებული ქრისტიანული ცივილიზაცია შეიქმნა, და ამით ევროპელებმა უდიდესი გავლენა მოახდინეს მსოფლიო ცივილიზაციის ფორმირების პროცესზე. საქართველო კი ამ პროცესების მიღმა დარჩა.

მარტივად დასასმელი კითხვაა: ჩამოყალიბების პროცესში მყოფ გლობალურ სამყაროში, 7-8 ახალი, რეგიონული ცივილიზაციიდან, სად არის საქართველოს ადგილი?! ამ კითხვაზე პასუხისთვის, უნდა ვიცოდეთ — ვინ ვართ?!

ვინ ვართ?!

საქართველოში **არ დამთავრებულა (შეიძლება არც დაწყებულა) სერიოზული განსჯა თემაზე: ვინ ვართ? რომელ ცივილიზაციას წარმოვადგენთ — დასავლურს (ევროპულს), თუ კავკასიურ-აზიურს? ან იქნებ სულაც მხოლოდ მართლმადიდებლურს (და არა ზოგადად ქრისტიანულს)?** ქართულმა პოლიტოლოგიამ, ისტორიოგრაფიამ და კულტუროლოგიამ ამ თემისთვის ჯერ ვერ მოიცალა. სამეცნიერო ინსტიტუტები აზრისგან (ადამიანებისგან) დაიცალა, მეცნიერება დაგვიბერდა და დასუსტდა. ინტერნეტ ფორუმებზე კი საკითხის „სახალხო“, ემოციური განხილვა მიმდინარეობს. ჩვენს თავდაკარგულ საზოგადოებას აინტერესებს — ვინ არის, რომელ ცივილიზაციას მიაკუთვნოს თავი, რათა დაწმენდილი გონებით სახელმწიფოს პოლიტიკური სხეულის შენება, წინსვლა და მსოფლიო ქაოსისგან თავის დაღწევა შეძლოს!!

ამ მხრივ, ჩვენს „დე ფაქტო“ საზღვრებში მხოლოდ პოლიტიკური გადაწყვეტილებაა მიღებული (ევროასოციაცია), მაგრამ გეოპოლიტიკური, რეგიონული და კულტურული იდენტიფიკაცია კვლავ „სახალხო“ (საზოგადო) პრობლემად რჩება. ასეთ პირობებში საზოგადოება ვერც პოლიტიკურად, ვერც კულტურულად ჯანსაღ ორგანიზმად ვერ ჩაითვლება. ქვეყანას ხან გამსახურდიას, ხან შევარდნაძის, ხან სააკაშვილის სინდრომი თრგუნავს და აწვალებს, მთავარ პრობლემაზე ფიქრისთვის და საკუთარი თავის შეცნობისთვის კი ვერ იცლის.

ჩვენი ინტელექტუალური და კულტურული „მიძინების“ მიუხედავად, დასავლურმა ფილოსოფიურმა ჭვრეტამ და პოლიტიკურმა აზრმა, საქართველოს თავად მიუჩინა ადგილი ცივილიზაციათა იერარქიაში და „განსაზღვრა“ მისი იდენტურობა ისე, რომ ჩვენს ისტორიულ, ეთნო-კულტურულ შრეებში არც ჩაუხედავს. ჩვენთვის გასაოცრად, ეს მხოლოდ ერთი ფაქტორის — მართლმადიდებლური კულტურის ნიშნით მოხდა. ეს ნიშნავს, რომ დღეს მათთვის „სხვა“ — უცხო საზოგადოება ვართ. ამ ზოგადი შეფასებით, „მართლმადიდებელთა“, — როგორც „განსხვავებული“ კულტურული სამყაროს, — ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების პერსპექტივები საკმაოდ ბუნდოვანია, თუმცა, მუსლიმანურ სამყაროზე უკეთესია. მაგრამ, ფაქტია — ევროპულ კულტურაში, და ამ კულტურის შემქმნელ ქრისტიანულ ცივილიზაციაში, ჩვენი ადგილი ვერ მოინახა — ბურუსით მოცულ ზონაში ვართ. ასეთია ყველაზე პრაგმატული დასავლელი თეორეტიკოსების დასკვნა.

ჩემი აზრით, აქ არანაირი შეცდომა არ არის, არის მხოლოდ ზერელე შეფასება, გაუგებრობა და შეუცნობლობა, რადგან ქართული კულტურა, საზოგადოდ, უფრო ძველია, ვიდრე ევროპული. ევროპული კრიტერიუმები კი, ცხადია, მათ წინარე ისტორიულ კულტურას ვერ შეაფასებს! ეს ნიშნავს, რომ საქართველო კი არ ამოვარდა მისთვის ყველაზე ახლობელი სუბსტანციიდან — ბერძნულ-ბიზანტიური კულტურული შრედან, არამედ დამოუკიდებლად არსებობდა, მათ მიღმა და მათზე ადრე. უბრალოდ, ამ კულტურის ცენტრიდან — პერიფერიაზე გადაინაცვლა, მაგრამ არ გამქრალა. ჩვენ „ცოტა ხნით“ დავიკარგეთ — რამდენიმე საუკუნე დასუსტებული და ფილოსოფიური აზრისგან დაცლილი ვიყავით. დღეს შედეგს ვიმკით.

ეპოქა და ცივილიზაციის ბალანსი იცვლება, ახალი ისტორია იწერება და ამ ახალ წიგნში ერთიანი საქართველო აუცილებლად მთავრული ასოებით უნდა ჩაიწეროს. ასეთია ახალი თაობის ფუნქცია და მათი საკონტროლო დავალება: ქვეყანამ მოახერხოს და მოახდინოს პოლიტიკური და კულტურული იდენტიფიკაცია.

ზუსტი პასუხის მისაღებად (ვინ ვართ?) — ნაციონალური იდენტობის სფეროში მსოფლიოს თეორიულ კვლევებს უნდა ვიცნობდეთ და ამ კვლევებში ვმონაწილეობდეთ!!

ნაციონალური იდენტობის ბუნება, ისტორიულ კონტექსტში, მსოფლიოში კარგად შესწავლილი თემაა. მაგრამ, ამ სფეროში მკვლევართა ინტერესი გააძლიერა ნაციონალიზმის აღზევებამ, განსაკუთრებით კი ეთნიკური თვითშეგნების გამძაფრებამ, როგორც პოსტსაბჭოთა სივრცეში, ისე დასავლეთში. დღევანდელი ეპოქა ნაციონალიზმის გლობალური აფეთქების ეპოქაა. მოუმზადებელი, სუსტი სახელმწიფოები ამ აფეთქების მსხვერპლი ხდებიან — ასეთი სახელმწიფოები იშლება. და რას ვაკეთებთ ჩვენ?! არაფერს!!

სახელმწიფოს სისტემის შერყევა ნაციის ინტელექტუალური სიზარმაცის შედეგია. დღევანდელი ქაოსური ეპოქის მდინარეებში, როცა ეთნო-ნაციონალური იდენტობა დამანგრეველ ძალას იძენს, საქართველო უნიჩბო, უკომპასო და უსაჭო ნავივით, იღბალს მინდობილი მიცურავს. ჩვენი ნიჩაბი, კომპასი და საჭე კი აზროვნება და ინტელექტია, რაც ამ ეპოქის გამოწვევებთან სრულიად არაადეკვატური და მოუმზადებელი აღმოჩნდა. ერ-სახელმწიფოებთან მიმართებაში ენტონი დ. სმიტის ფრაზას თუ დავესესხებით — **გადარჩენისთვის აუცილებელია „ხალხის მობილიზება საკუთარი კულტურისა და ისტორიის წიაღში“. ქართველმა ხალხმა ეს ვერ მოხერხდა, რაც სახელმწიფოს ჩამოყალიბებაში გადამწყვეტი ფაქტორია.**

გლობალურ სამყაროში საქართველოს ადგილის განსაზღვრისას განსაკუთრებით აქტუალური ეროვნული და ეთნიკური თემაა — მისი მრავალფეროვნება, დინამიკა, ადაპტაციის და თანაცხოვრების პოტენციალი, რაც ქართული (და ნებისმიერი) სახელმწიფოს საფუძვლებს ქმნის. ისტორიული მიმოხილვის კონტექსტში ეს საკითხი ჩვენთან მეტ-ნაკლებად გაანალიზებულია. მაგრამ, პრობლემის პოლიტიკური, ინტელექტუალური (ეთნოსაზოგადოების ელიტის კოლექტიური დამოკიდებულება) და კულტუროლოგიური ასპექტები, ვფიქრობ, მკვლევართა სიღრმისეული განსჯის მიღმაა დარჩენილი. თემის პოლიტიკური კონტექსტი კი სერიოზულ საკვლევ თემად საერთოდ არ განიხილება და არც არასდროს განხილულა. **ეთნო-ნაციონალიზმი ძირითადად კულტურული ფენომენია. ხოლო, პოლიტიკური იდენტობა - ნაციონალური იდენტობის, როგორც ისტორიული პროცესის დამამთავრებელი ეტაპია. ჰოდა, ესაა ჩვენი მთავარი სისუსტე — ყურადღების მიღმა დარჩენილი პოლიტოლოგიური და სოციოლოგიური კვლევები, ნათელი — უდავო სურათის შექმნა, ამ სფეროში მსოფლიო სამეცნიერო აზროვნების შესწავლა და ა.შ. ჩვენ 20, შეიძლება 50 წლით დავაგვიანეთ. ამიტომ აღმოვჩნდით სეპარატიზმის ზვავის წინაშე სრულიად უმწეო მდგომარეობაში, და ვართ ასე — გაბრაზებული და გაოგნებული, ვერაფრის შეცვლას ვეღარ ვახერხებთ. ჩვენ საამაყო ისტორიის კვლევა-დაზეპირებით და „სადღეგრძელოებით“ გავერთეთ, პოლიტიკურ ანალიზს, ეთნო-კულტურულ კვლევებს კი საჭირო ყურადღება არ დავუთმეთ.**

მაგრამ, თუ ჩემი თაობა პრობლემის მიტინგებითა და ხმაურიანი პროტესტით გადაჭრას ცდილობდა, დღეს სურათი იცვლება. დღევანდელი თაობა მსოფლიოს ამ გამოწვევებს საუკეთესო უნივერსიტეტებში ეუფლება. მათ უკვე თავისუფლად მიუწვდებათ ხელი ამ სფეროში მსოფლიოს გამოცდილებაზე და სპეციალურ ნაშრომებზე, რაც აქამდე ჩვენს გარეშე იწერებოდა. და იქნებ ასე, მიტინგების ეპოქაც დასრულდეს, კვლევის და მიგნების ეპოქა დაიწყოს და მერე ეთნო-ნაციონალური დიალოგიც მოხერხდეს. ასე უფრო ეფექტიანად აღმოვაჩენთ ჩვენს საერთო ადგილს გლობალურ სამყაროში.

აფხაზთა, ქართველთა და ოვსთა ახალი თაობისთვის, საკუთარი პოლიტიკური იდენტობის გააზრებაში, მნიშვნელოვანი იქნება, მაგალითად, ენტონი დ. სმიტის შეგონება, ჯერ კიდევ 1990 წელს გამოცემული წიგნიდან — „ნაციონალური იდენტობა“, სადაც ვკითხულობთ:

„ნაციონალიზმი წარმოადგენს ყველაზე მძლავრად ფესვგადგმულ მითს იდენტობის შესახებ თანამედროვე მსოფლიოში, მაგრამ ის სხვადასხვა ფორმითაა წარმოდგენილი. ნაციონალური იდენტობის მითებში პოლიტიკური ერთობის საფუძვლად, როგორც წესი, გვევლინება ტერიტორია ან წინაპრები (ან ორივე ერთად). ეს სხვადასხვაგვარობა ხშირად არასტაბილურობისა და კონფლიქტის წყაროს წარმოადგენს იმ შემთხვევაში, თუ მათი უგულებელყოფა ხდება. ბევრი, ყველაზე მწვავე ეროვნებათაშორისი კონფლიქტი ნაციონალური იდენტობის ურთიერთდაპირისპირებული მოთხოვნებისა და კონცეფციებისგან მომდინარეობს“.

ჯერ კიდევ გასული საუკუნის მიწურულს (ჩვენი ნაციონალური ეიფორიის ჟამს), ცნობილ მკვლევართა მიერ გაჟღერებული მსგავსი აზრებისა და მოწოდებების გაცნობიერება დიდი ხნის წინათ უნდა დაგვეწყო, რათა თავიდანვე გვეფიქრა კონფლიქტის განელებაზე და შეგვექმნა ნამდვილი ეროვნულ-პოლიტიკური ერთობა. მიზნის მისაღწევად და გზამკვლევად კი, მეცნიერული და ინტელექტუალური კაპიტალია საჭირო, რაც არ ჩანს. ვიმეორებ — ქართულმა პოლიტოლოგიამ, ისტორიოგრაფიამ და კულტუროლოგიამ ამ თემისთვის ვერ მოიცალა. სამეცნიერო ინსტიტუტები კი ამასობაში აზრისგან, იდეებისგან და ადამიანებისგან დაიცალა. შედეგად, სრულ გაუგებრობაში ვართ.

და ეს უმძაფრესი ნაციონალური (და პოლიტიკური) თემა, როგორც კვლევისა და სახელმწიფოებრივი ყურადღების საგანი, არც ერთ, — ყოფილ თუ არსებულ, - ხელისუფლებას არ აინტერესებს, რადგან საამისოდ ჩვენმა სახელმწიფომ აკადემიურ სიმშვიდეს და სიმწიფეს ჯერ კიდევ ვერ მიაღწია.

ნუკრი მიხანაშვილი

(დასასრული იქნება)

◎ ალიანჩალიანი

ქართული ასეული ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში გააცილეს

ვაზიანის მე-4 მექანიზებული ბრიგადის სამწყობრო მოედანზე ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში სამშვიდობო მისიაში მონაწილე ასეულის გაცილების ცერემონიალი გაიმართა.

ღონისძიებას დაესწრნენ საქართველოს თავდაცვის მინისტრი მინდია ჯანელიძე, მინისტრის მოადგილეები, გენერალური შტაბის ხელმძღვანელი პირები და საფრანგეთის ელჩი საქართველოში რენო სალენსი. თავდაცვის მინისტრმა ქართველ სამხედროებს სიტყვით მიმართა და მისიის წარმატებით განხორციელება უსურვა.

„ ქართული ჯარი მზად არის, ნებისმიერ კონტინენტზე შეასრულოს დაკისრებული დავალება. თქვენი მონაწილეობა აფრიკის მისიაში მხოლოდ მშვიდობის უზრუნველყოფა არ არის, ეს სამშობლოსთვის გაწეული სამსახურია, რადგანაც თქვენი სამსახური უფრო აახლოებს ჩვენს ქვეყანას, შეიარაღებულ ძალებს ნატო-სთან, ევროკავშირთან, მსოფლიოს წამყვან ქვეყნებთან. ამიტომ თქვენი მისია ორმაგად დატვირთულია. დარწმუნებული ვარ, რომ წარმატებით შეასრულებთ ქვეყნის მიერ დაკისრებულ მისიას და ყველანი უკლებლივ უვნებელი დაბრუნდებით“, — განაცხადა მინდია ჯანელიძემ.

მინდია ჯანელიძემ აღნიშნა, რომ ევროკავშირის მისიაში მანდატი დეკემბრის ბოლომდეა, თუმცა, ხელისუფლებამ უკვე მიმართა პარლამენტს მანდატის სამი თვით გაგრძელების შესახებ. მინდია ჯანელიძის თქმით, იმ შემთხვევაში, თუ პარლამენტი მანდატს გაახანგრძლივებს, ასეული კიდევ სამ თვეს დარჩება ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში.

ინტერპრესი

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

საქართველო შეშფოთებულია რუსეთის სამხედრო სწავლებებით სამხრეთ ოსეთში

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ ბრალი დასდო რუსეთს „სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დარღვევაში“ ცხინვალის რეგიონში საარტილერიო სწავლების მოწყობასთან დაკავშირებით. სწავლებები მიმდინარეობს ერთი ათასზე მეტი სამხედრო მოსამსახურისა და დაახლოებით ტექნიკის 200 ერთეულის მონაწილეობით 6 პოლიგონზე ჩრდილოეთი კავკასიის რეგიონსა და სამხრეთ ოსეთში. საქართველოს საგარეოპოლიტიკურ უწყებაში მიაჩნიათ, რომ თავისი მოქმედებებით რუსეთი „საფრთხეს უქმნის მშვიდობასა და სტაბილურობას რეგიონში“.

„რუსეთის ფედერაციის ეს მოქმედებები — არის საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის შემდგომი დარღვევა. ისინი საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო უფლებებისა და საერთაშორისო ვალდებულებათა ნორმებისა და პრინციპების უხეში დარღვევაა, მათ შორის, ისეთებისაც, რომლებიც რუსეთმა იკისრა 2008 წლის 12 აგვისტოს შეთანხმებით ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, და წარმოადგენს საფრთხეს მშვიდობისა და სტაბილურობისთვის რეგიონში“, — ნათქვამია საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საიტზე.

სწავლებებში, რომლებიც მიმდინარეობს 6 პოლიგონზე ჩრდილოეთი კავკასიის რეგიონსა და სამხრეთ ოსეთში, მონაწილეობას ღებულობს ერთი ათასზე მეტი არტილერისტი და 58-ე არმიის შეიარაღების დაახლოებით 200 ერთეული და სამხედრო ტექნიკა. სამხრეთი სამხედრო ოლქის სამხედროები ამუშავებენ ომის ჩვეულებს თვითმავალი საარტილერიო დანადგარების „მსტა-ს“ და მოდერნიზებული სარაკეტო სისტემების დახმარებით.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ მოითხოვა რუსეთისგან გაიყვანოს ჯარები „ოკუპირებული ტერიტორიებიდან“, აგრეთვე მოუწოდა მსოფლიო გაერთიანებას, რათა „თავიდან აგვაცილოს მორიგი აქცია, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დარღვევას“.

შეგახსენებთ, რომ ურთიერთობანი რუსეთსა და საქართველოს შორის უკანასკნელ პერიოდში გამწვავდა რუსეთის ფედერაციასა და აფხაზეთს შორის თანამშრომლობის შესახებ ახალი შეთანხმების ხელმოწერის ფონზე. ხელშეკრულება ითვალისწინებს მოსკოვისა და სოხუმის მიერ შეთანხმებული საგარეო პოლიტიკის განხორციელებას, ერთიანი სოციალურ-ეკონომიკური სივრცის“, „თავდაცვისა და უშიშროების საერთო სივრცის“ შექმნას, მათ შორის, გაერთიანებული სამხედრო დაჯგუფებისა. შედეგად რუსეთთან ურთიერთობის მოწესრიგების საკითხებში საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალურ წარმომადგენელ ზურაბ აბაშიძისა და რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის გრიგორი კარასინის მოლაპარაკება, რომელიც, სავარაუდოდ, უნდა გამართულიყო დეკემბრის ბოლოს, გადაიდო გაურკვეველი ვადით.

Коммерсантъ

◎ ჩვენ და ალიანსი

2016 წლის გაზაფხულზე ნატოს მორიგი სამიტია დაგეგმილი. ამ დროისთვის უკვე განხორციელებულ პროექტებზე, როგორიც არის სასწავლო ცენტრი და სხვა ღონისძიებები, ნატო საქართველოსგან პროგრესს ელის. პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებით, 2016 წელი ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან საპარლამენტო არჩევნებია და მმართველი პოლიტიკური გუნდი ყველაფერს გააკეთებს, რათა პირნათლად შეხვდნენ ამ მნიშვნელოვან მოვლენას ყველა მიმართულებით, მათ შორის, ნატოში ინტეგრაციის მიმართულებით.

ახლა არ არის საქართველოს, უკრაინისა და მოლდოვას ნატოში გაწევრებაზე საუბრის დროო

უსუფაშვილისგან განსხვავებით, ასე არ ფიქრობს ევროპარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის ხელმძღვანელი. **ელმარ ბროკის** განცხადებით, ახლა არ არის საქართველოს, უკრაინისა და მოლდოვას ნატოში გაწევრებაზე საუბრის დრო. მისი თქმით, ნატოს ტერიტორიების უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და ყველა წევრი ქვეყნის სანდო დაცვის მიზნით ჩრდილოატლანტიკურმა ალიანსმა კოლექტიური თავდაცვის გაძლიერებაზე უნდა მოახდინოს კონცენტრირება.

„უმჯობესია, მხარი დავუჭიროთ პოლიტიკურ და ეკონომიკურ რეფორმებს, ასევე საქართველოში, მოლდოვასა და უკრაინაში უსაფრთხოების სტრუქტურების რეფორმას, რათა ეს ქვეყნები კიდევ უფრო დაუახლოვდნენ ევროკავშირს და საგარეო ბაზარზე მათი ინტეგრაცია მოხდეს. დებატები ამ ქვეყნების ნატოს წევრობაზე კონტრპროდუქტიულია“, — განაცხადა ელმარ ბროკმა.

მისივე განცხადებით, ნატოს გაფართოების გადაწყვეტილება არა მხოლოდ თითოეული ქვეყნის სუვერენული გადაწყვეტილებაა, არამედ მას სჭირდება ალიანსის ყველა წევრი ქვეყნის მხარდაჭერა. მისივე განმარტებით, ყოველმა გაფართოებამ უნდა გააძლიეროს ალიანსის თანამიმდევრულობა და თავდაცვითი შესაძლებლობები.

კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში ნატოს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი **ჯეიმს აპატურაი** თვლის, რომ ელმარ ბროკი სწორ განცხადებას აკეთებს, ვინაიდან, ამ ეტაპზე საქართველოს ნატოს წევრობაზე საუბარი არ არის. საუბარია წევრობისკენ მიმავალ გზაზე, პაკეტით განსაზღვრული ნაბიჯების შესრულებაზე.

„მოდით ასე ვთქვათ — მოლდოვა ნეიტრალური ქვეყანაა და მას ნეიტრალურობის სტატუსის შეცვლაზე გეგმები არ აქვს. იქ არ დგას ნატოს წევრობის საკითხი. უკრაინას რაც შეეხება, ნათლად და გამოკვეთილად არც მას მიუთითებია, რომ იგი უახლოეს მომავალში ნატოსკენ იმოძრავებს. უფრო მეტიც, უკრაინის პრეზიდენტმა პეტრო პოროშენკომ ხაზი გაუსვა, რომ პირველი პრიორიტეტი ქვეყანაში რეფორმების გატარებაა. ჩვენ ვიზიარებთ მის ამ გამონათქვამს და ვთვლით, რომ მათი პრიორიტეტი რეფორმებია და დახმარებასაც გავუწევთ.

რაც შეეხება საქართველოს, აქაც ყველაფერი ნათელია, მაგრამ განსხვავებული თვალსაზრისით. ბუქარესტის გადაწყვეტილება ძალაში რჩება, ეს არის ნატოს პოლიტიკური გადაწყვეტილება. არსებითი პაკეტი, რომელიც საქართველოს გადმოეცა, თავისი სტრუქტურით და არსით შედგენილია იმისთვის, რომ საქართველოს გაუწიოს დახმარება გაწევრების გზაზე“, — განაცხადა ჯეიმს აპატურაიმ.

ევროპარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის ელმარ ბროკის განცხადებას გამოეხმაურა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე. დავით უსუფაშვილის განცხადებით, ნატოში გაწევრების სურვილის შესახებ განაცხადის დღიდან, იყვნენ ადამიანები, რომლებსაც რეალობა სხვაგვარად წარმოედგინათ. უსუფაშვილის განცხადებით, ნატოს ხელმძღვანელი ორგანოები, მათ შორის უელსის სამიტი, არის ადგილი, სადაც პოზიციებს გამოხატავენ ქვეყნები და ეს პოზიცია არის ურყევი და მყარი. უსუფაშვილის შეფასებით, ყველაფერი დანარჩენი არის მიმდინარე დისკუსია, დებატები, რომელსაც ყურადღებით უნდა ვადევნოთ თვალი, მაგრამ მეტი ყურადღება გადაწყვეტილებებს უნდა მივაქციოთ.

„ევროპაში ყოველთვის იყვნენ პოლიტიკოსები, რომლებიც წინააღმდეგნი იყვნენ ბალტიისპირეთის, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ნატოში გაწევრიანების. ევროპა ძალიან დიდი სივრცეა. იქ არის ბევრი პოლიტიკური ძალა, ბევრი პოლიტიკოსი და ვიცით, რომ ზოგიერთს ასეთი განწყობები აქვს. მნიშვნელოვანია, რომ უმრავლესობა არის მოტივირებული და მოწადინებული, ნატოს ხელმძღვანელი ორგანოები, მათ შორის უელსის სამიტი, არის ის ადგილი, სადაც პოზიციებს გამოხატავენ ქვეყნები და ეს პოზიცია არის ურყევი და მყარი“, — აცხადებს დავით უსუფაშვილი.

ელმარ ბროკის განცხადებას, ახლა არ არის საქართველოს, უკრაინისა და მოლდოვას ნატო-ში გაწევრიანებაზე საუბრირო, ნაციონალური მოძრაობა ქვეყნის კრახად აფასებს.

საპარლამენტო უმცირესობაში ამბობენ, რომ ამ წუთის მდგომარეობით, საქართველოს და უკრაინის ნატოში გაწევრებაზე საუბარი ნადვილად არ არის, მაგრამ ის, რომ ორივე ქვეყანა მიისწრაფვის ნატოსკენ და ის, რომ ორივე ქვეყანა ნატოს წევრი გახდება, დადასტურებულია უმაღლეს დონეზე და მათ შორის დადასტურებულია გერმანიის ხელისუფლების და იმ პარტიის მიერაც, რომელსაც ბატონი ბროკი წარმოადგენს. მიხეილ მაჭავარიანის განცხადებით, ხელისუფლება ქვეყნის ნატოში ინტეგრაციისთვის საჭირო ნაბიჯებს, რუსეთის ინტერესებიდან გამომდინარე არ დგამს.

პოლიტოლოგ **რამაზ საყვარელიძის** შეფასებით, გერმანელ პოლიტიკოსებს და ნაციონალებს სხვადასხვა მოტივები აქვთ. მისივე თქმით, გერმანიის მოტივაცია, ისევე როგორც ევროპის სხვა ქვეყნებისა, არის ის, რომ მათთვის რაც შეიძლება უსაფრთხო იყოს ნებისმიერი გადადგმული ნაბიჯი. საყვარელიძის განცხადებით, დღეს, როდესაც უკრანიის თემის გარშემო ასეთი მწვავე ბრძოლაა და დასავლეთი სხვას ვერაფერს ბედავს, გარდა ეკონომიკური სანიქციებისა, მკაფიო ხდება, რომ დასავლეთი ძალიან ფრთხილია რუსეთის მიმართ დამოკიდებულების გამოხატულებაში.

„ასეთი სიფრთხილის ფონზე, იმ რუსეთს, რომელსაც შეუძლია ადგეს და საომარი მოქმედება დაიწყო, სწორი იქნება ნატოში წითელი ნაჭერი აუფრიალოს გერმანიამ? გერმანიამ იცის, რომ ფრთხილი უნდა იყოს რუსეთთან პოლიტიკაში. ასე რომ, გერმანიის განცხადების მოტივაცია გასაგებია, ის არ გვატყუებს, არიქა შემოდითო. საქართველო ჯერ მხოლოდ დანიშნულია ნატოსთან ურთიერთობებში. პრინციპში, ეს სტატუსიც აუცილებელია“, — აცხადებს რამაზ საყვარელიძე.

რაც შეეხება შიდა კრიტიკას, საყვარელიძის განცხადებით, **თუ წინა ხელისუფლება „შესანიშნავად“ მუშაობდა საგარეო ასპარეზზე, რატომ არ აღმოჩნდა მათი მუშაობა საკმარისი იმისთვის, რომ საქართველო ნატოს წევრი გამხდარიყო? „უბრალოდ, გულდასაწყვეტია, როდესაც ოპონენტი პატიოსანი არ არის. მაშინ მის სიტყვას და მის კრიტიკას ფასი ეკარგება“,** — აცხადებს for.ge-სთან საუბრისას რამაზ საყვარელიძე.

თამთა ქარჩავა

დედამიწის ზურგზე



მეცნიერებმა აღმოაჩინეს ძველ ადამიანებში კიბოთი დაავადების ერთ-ერთი ყველაზე ადრეული დამოწმება

სპეციალისტებმა შეისწავლეს ბრინჯაოს საუკუნის ერთ-ერთი ადამიანის ძვლები, რომელიც დაახლოებით 4,5 ათასი წლის წინათ გარდაიცვალა 34-45 წლის ასაკში. ნაშთები აღმოაჩინეს 1992 წელს ანგარის პირას გათხრების დროს. აღმოჩენილი ადამიანის თითქმის ყველა ძვალზე, მათ შორის, თავის ქალაზეც, ხერხემალსა და ნეკნზე, აღმოაჩინეს დაზიანებები, თითქოსდა, ისინი ჩრჩილმა ამოჭამაო.

* * *

მარსმავალმა „ᲙᲣᲠᲘᲝᲡᲘᲢᲘᲗᲘ“ მარსის ზედაპირზე გამშრალი ტბა აღმოაჩინა



მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ იგი არსებობდა საკმაოდ დიდხანს და მასში შეიძლებოდა განვითარებულიყო სიცოცხლე. მონაცემებით, რომელიც გადმოსცა მარსმავალმა, ტბები წითელ პლანეტაზე არსებობდა გაცილებით უფრო დიდხანს, ვიდრე ეს ადრე მიაჩნდათ.

* * *

ფილიპინებზე ტაიფუნ „ᲰᲐᲒᲣᲠᲘᲢᲘᲡ“ მსხვერპლთა რიცხვი 27 კაცამდე გაიზარდა

დაზარალებულთა უმრავლესობა — ესენი არიან მოშორებული აღმოსავლეთი კუნძულის სამარის მცხოვრებლები, რომლებმაც პირველებმა მიიღეს ტაიფუნის დარტყმა. მისი ქარის სიჩქარე პირველ დღეებში საათში 210 კილომეტრს აღწევდა. როდესაც დასავლეთისკენ მოძრაობდა, დედაქალაქის რეგიონის მიმართულებით, სადაც დაახლოებით 12 მილიონი კაცი ცხოვრობს, სტიქიის ძალა თანდათანობით შესუსტდა.

* * *

მერილენდში თვითმფრინავი დაეჯახა საცხოვრებელ სახლს: დაიღუპა 6 კაცი, მათ შორის, ორი პატარა ბავშვი

თავდაპირველად იტყობინებოდნენ, რომ ინციდენტის მსხვერპლი გახდა სამი კაცი, რომლებიც საჰაერო ხომალდის ბორტზე იმყოფებოდნენ. მოგვიანებით გაირკვა, რომ კიდევ სამი კაცი დაიღუპა დედამიწაზე. 36 წლის ქალისა და მისი ორი ვაჟიშვილის, რომელთა ასაკიც იყო სამი წელი და ერთი თვე შესაბამისად, ცხედრები აღმოაჩინეს საababაზანო ოთახში. დედა ცდილობდა გადაერჩინა ბავშვები კვამლისა და ცეცხლისგან.

საქმე №1/140-2014

საარბიტრაჟო დადგენილება

შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს სახელით

საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ

8 დეკემბერი 2014 წელი ქ. თბილისი

არბიტრი: ქეთევან ტაბატაძე

საარბიტრაჟო მოსარჩელე: შპს „KAPI”
საარბიტრაჟო მოპასუხე: ენრი ელიკაშვილი

დავის საგანი: სესხის თანხის გადახდის დაკისრება

არბიტრაჟმა განიხილა სარჩელისა და თანდართული მასალების, საარბიტრაჟო უწყების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილების მიღების საკითხი და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს მიერ 2014 წლის 4 ნოემბერს წარმოებაში იქნა მიღებული შპს „KAPI”-ის სარჩელი მოპასუხის ენრი ელიკაშვილის მიმართ სესხის თანხის გადახდის დაკისრების მოთხოვნით.

მოსარჩელის განმარტებით, 2012 წლის 26 ოქტომბერს, ერთის მხრივ, შპს „KAPI”-სა და მეორეს მხრივ, ენრი ელიკაშვილს შორის დაიდო №1.15.77 საკრედიტო ლიმიტით სარგებლობის ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც შპს „KAPI”-მ მსესხებელზე გასცა 2500 ლარის ოდენობით სესხი, ყოველდღიური 0,15% საპროცენტო სარგებლით. თანხის დაბრუნების ვადად განისაზღვრა 24.11.2012წ.

2012 წლის 20 ნოემბერს მხარეთა შორის გაფორმდა საკრედიტო ლიმიტით სარგებლობის ხელშეკრულება №1.15.77-ში ცვლილების შეტანის შესახებ შეთანხმება, რომლის თანახმადაც ძირითადი თანხა ნაცვლად 2500 ლარისა გახდა 3300 ლარი.

საკრედიტო ხელშეკრულების თანახმად, განისაზღვრა პირგასამტეხლოს ოდენობა, კერძოდ, ისეთ შემთხვევაში თუ მსესხებელი ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას დააღვევს მას დაერიცხება პირგასამტეხლო ძირი თანხის 0.15% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

მოსარჩელე მხარემ მოითხოვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სესხის თანხის მოპასუხეზე ენრი ელიკაშვილზე გადახდის დაკისრება.

საარბიტრაჟო სარჩელი თანდართული მასალებითა და საარბიტრაჟო უწყება მოპასუხე ენრი ელიკაშვილს ორჯერ გაეგზავნა ხელშეკრულებაში მითითებულ მისი რეგისტრაციის მისამართზე თუმცა კორესპონდენცია მხარეს არ ჩაბარდა იმ მიზეზით, რომ ის მითითებულ მისამართზე არ ცხოვრობს.

არბიტრაჟმა განიხილა საქმის მასალები და მიიჩნია, რომ აუცილებლობას წარმოადგენს მოპასუხე ენრი ელიკაშვილს მის წინააღმდეგ მიმართული სამოქალაქო დავის წარმოებისა და სხდომის დღე ეცნობოს შეტყობინების საჯაროდ გავრცელების გზით. ამ დასკვნის მართებულობას განაპირობებს შემდეგი საფუძვლის არსებობა:

დადგენილია, რომ მოპასუხე რეგისტრაციისა და ასევე მის უკანასკნელ საცხოვრებელ მისამართზე არ ცხოვრობს, ხოლო მისი ფაქტობრივი ადგილსამყოფელი უცნობია.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, თუ მოსარჩელის მიერ მითითებული მოპასუხის მისამართი სწორია და მას შეტყობინება ვერ ბარდება ამავე კოდექსის 73-ე მუხლის I პრიმა ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით არბიტრაჟი ხელმძღვანელობს ამავე კოდექსის 78-ე მუხლის დებულებებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, არბიტრაჟს მიაჩნია, რომ მიღებული უნდა იქნეს დადგენილება საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ, რომელიც უნდა განთავსდეს იმ გაზეთში რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელ ადგილზე.

არბიტრაჟმა იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 284-285-ე მუხლით, შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს დებულებით

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილებით მოპასუხე ენრი ელიკაშვილს (პ/ნ 01031003661) ეცნობოს, რომ მის წინააღმდეგ შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს წარმოებაშია შპს „KAPI”-ის სარჩელი სესხის თანხის გადახდის დაკისრების მოთხოვნით.

2. ენრი ელიკაშვილს განემარტოს, რომ გზავნილის ჩაბარებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში, შეგიძლიათ წარმოადგინოთ შესაგებელი 2 ეგზემპლარად მტკიცებულებებთან ერთად შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ში, შემდეგ მისამართზე: თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 69. ასევე შეგიძლიათ გამოიყენოთ ის საპროცესო უფლებები, რომელიც გამომდინარეობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობიდან, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონიდან და შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს დებულებიდან.

თქვენს წერილობით შესაგებელში (პასუხში), მითითებული უნდა იყოს: ცნობთ თუ არა საარბიტრაჟო სარჩელს. თუ საარბიტრაჟო სარჩელს არ ცნობთ, რა კონკრეტულ გარემოებებსა და მტკიცებულებებს ემყარება თქვენი შესაგებელი მოსარჩელის საარბიტრაჟო სარჩელის წინააღმდეგ. რა საპროცესო საშუალებით აპირებთ საარბიტრაჟო სარჩელისაგან თავის დაცვას, კერძოდ, ხომ არ აპირებთ შეგებებული საარბიტრაჟო სარჩელის აღძვრას, ხომ არ უარყოფთ საარბიტრაჟო სარჩელის დასაშვებობას. რომელი მოწმე (სახელი, გვარი, საცხოვრებელი მისამართი ან სამუშაო ადგილი) უნდა იქნეს გამოძახებული საარბიტრაჟო სხდომაზე, რისი დადასტურება შეუძლია თქვენს მიერ წარმოსადგენ მოწმეს. ხომ არ გაგაჩნიათ შუამდგომლობები.

3. განემარტოს მოპასუხეს ენრი ელიკაშვილს, მის მიერ შესაგებლის წარმოუდგენლობის შემთხვევაში არბიტრაჟი განაგრძობს საქმის განხილვას. შესაგებლის წარმოაუდგენლობა არ ჩაითვლება სარჩელის ცნობად.

4. მოპასუხე ენრი ელიკაშვილს ეცნობოს, რომ 2014 წლის 29 დეკემბერს 12:00 საათზე შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ში შემდეგ მისამართზე: თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 69, დანიშნულია საარბიტრაჟო სხდომა შპს „KAPI”-ის სარჩელზე – სესხის თანხის გადახდის დაკისრების მოთხოვნით ენრი ელიკაშვილის მიმართ.

5. ენრი ელიკაშვილს ეცნობოს, თუ ის არ გამოცხადდება საარბიტრაჟო სხდომაზე, ვალდებულია არბიტრაჟს აცნობოს გამოუცხადებლობის მიზეზი. თუ დადგენილი წესით გაფრთხილებული მხარე არ გამოცხადდება არბიტრაჟში, არბიტრაჟი უფლებამოსილია მის დაუსწრებლად განიხილოს საქმე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მეორე მხარე ითხოვს საქმის გადადებას.

6. განემარტოს მოპასუხეს მხარეს, რომ საარბიტრაჟო გზავნილი და უწყება მასზედ ჩაბარებულად ითვლება წინამდებარე დადგენილების გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

7. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილება გამოქვეყნდეს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკა”-ში მოსარჩელე მხარის ხარჯით.

8. საარბიტრაჟო დადგენილებაზე საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

არბიტრი: ქეთევან ტაბატაძე

საქმე №1/132-2014

საარბიტრაჟო დადგენილება

შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს სახელით

საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ

24 ნოემბერი 2014 წელი ქ. თბილისი

არბიტრი: ქეთევან ტაბატაძე

საარბიტრაჟო მოსარჩელე: შპს „KAPI”
საარბიტრაჟო მოპასუხე: გიორგი დევდარიანი

დავის საგანი: სესხის თანხის გადახდის დაკისრება

არბიტრაჟმა განიხილა სარჩელისა და თანდართული მასალების, საარბიტრაჟო უწყების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილების მიღების საკითხი და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს მიერ 2014 წლის 29 ოქტომბერს წარმოებაში იქნა მიღებული შპს „KAPI”-ს სარჩელი მოპასუხის გიორგი დევდარიანის მიმართ სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით.

მოსარჩელის განმარტებით, 2013 წლის 11 სექტემბერს, ერთის მხრივ, შპს „ KAPI”-სა და მეორეს მხრივ, გიორგი დევდარიანს შორის დაიდო №1.19.4 საკრედიტო ლიმიტით სარგებლობისა და №1.19.4-1 გირავნობის ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც შპს „ KAPI”-მ მსესხებელზე გასცა 1220 ლარის ოდენობით სესხი, ყოველდღიური 0.17% საპროცენტო სარგებლით. თანხის დაბრუნების ვადად განისაზღვრა 10.10.2013წ.

სესხის გადახდა უზრუნველყოფილია მოპასუხის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონებით. კერძოდ ხელშეკრულების თანახმად გირავნობის საგანს წარმოადგენს მექანიკური სატრანსპორტო საშუალება: მარკა, მოდელი:

ფოლგსვაგენ გოლფი; ტიპი: ჰეტჩბეკი; ფერი: მწვანე 7/8; ტრანსპორტის გამოშვების წელი: 1996; ტრანსპორტის საიდენტიფიკაციო (შასის) №WVWZZZ1HZVW023313. სარეგისტრაციო მოწმობა: AL0876327, სარეგისტრაციო ნომერი: ZZG520.

საკრედიტო ხელშეკრულების თანახმად, განისაზღვრა პირგასამტეხლოს ოდენობა, კერძოდ, ისეთ შემთხვევაში თუ მსესხებელი ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას დააღვევს მას დაერიცხება პირგასამტეხლო ძირი თანხის 0.15% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

მოსარჩელე მხარემ მოითხოვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სესხის თანხის მოპასუხე გიორგი დევდარიანზე გადახდის დაკისრება და გირავნობის საგნის რეალიზაცია.

საარბიტრაჟო სარჩელი თანდართული მასალებითა და საარბიტრაჟო უწყება მოპასუხე გიორგი დევდარიანს ორჯერ გაეგზავნა სარჩელში მითითებულ მისი როგორც იძულებით გადაადგილებული პირის მიმაგრების ადგილის მიხედვით მისამართზე, თუმცა კორესპონდენცია მხარეს არ ჩაბარდა იმ მიზეზით, რომ მითითებული მისამართის მოძიება ვერ მოხერხდა.

არბიტრაჟმა განიხილა საქმის მასალები და მიიჩნია, რომ აუცილებლობას წარმოადგენს მოპასუხე გიორგი დევდარიანს მის წინააღმდეგ მიმართული სამოქალაქო დავის წარმოებისა და სხდომის დღე ეცნობოს შეტყობინების საჯაროდ გავრცელების გზით. ამ დასკვნის მართებულობას განაპირობებს შენდეგი საფუძვლის არსებობა:

დადგენილია, რომ მოპასუხე მისი როგორც იძულებით გადაადგილებული პირის მიმაგრების ადგილის მიხედვით მისამართი ვერ იძებნება. ხოლო მისი ფაქტობრივი ადგილსამყოფელი უცნობია.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, თუ მოსარჩელის მიერ მითითებული მოპასუხის მისამართი სწორია და მას შეტყობინება ვერ ბარდება ამავე კოდექსის 73-ე მუხლის I პრიმა ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით არბიტრაჟი ხელმძღვანელობს ამავე კოდექსის 78-ე მუხლის დებულებებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, არბიტრაჟს მიაჩნია, რომ მიღებული უნდა იქნეს დადგენილება საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ, რომელიც უნდა განთავსდეს იმ გაზეთში რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელ ადგილზე.

არბიტრაჟმა იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 284-285-ე მუხლით, შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს დებულებით

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილებით მოპასუხე გიორგი დევდარიანს (პ/ნ 62001037742) ეცნობოს, რომ მის წინააღმდეგ შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს წარმოებაშია შპს „ KAPI”-ს სარჩელი სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით.

2. გიორგი დევდარიანს განემარტოს, რომ გზავნილის ჩაბარებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში, შეგიძლიათ წარმოადგინოთ შესაგებელი 2 ეგზემპლარად მტკიცებულებებთან ერთად შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ში, შემდეგ მისამართზე: თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 69. ასევე შეგიძლიათ გამოიყენოთ ის საპროცესო უფლებები, რომელიც გამომდინარეობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობიდან, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონიდან და შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს დებულებიდან.

თქვენს წერილობით შესაგებელში (პასუხში), მითითებული უნდა იყოს: ცნობთ თუ არა საარბიტრაჟო სარჩელს. თუ საარბიტრაჟო სარჩელს არ ცნობთ, რა კონკრეტულ გარემოებებსა და მტკიცებულებებს ემყარება თქვენი შესაგებელი მოსარჩელის საარბიტრაჟო სარჩელის წინაღმდეგ. რა საპროცესო საშუალებით აპირებთ საარბიტრაჟო სარჩელისაგან თავის დაცვას, კერძოდ, ხომ არ აპირებთ შეგებებული საარბიტრაჟო სარჩელის აღძვრას, ხომ არ უარყოფთ საარბიტრაჟო სარჩელის დასაშვებობას. რომელი მოწმე (სახელი, გვარი, საცხოვრებელი მისამართი ან სამუშაო ადგილი) უნდა იქნეს გამოძახებული საარბიტრაჟო სხდომაზე, რისი დადასტურება შეუძლია თქვენს მიერ წარმოსადგენ მოწმეს. ხომ არ გაგაჩნიათ შუამდგომლობები.

3. განემარტოს მოპასუხეს, მის მიერ შესაგებლის წარმოუდგენლობის შემთხვევაში არბიტრაჟი განაგრძობს საქმის განხილვას. შესაგებლის წარმოაუდგენლობა არ ჩაითვლება სარჩელის ცნობად.

4. მოპასუხე გიორგი დევდარიანს ეცნობოს, რომ 2014 წლის 29 დეკემბერს 11:00 საათზე შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ში შემდეგ მისამართზე: თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 69, დანიშნულია საარბიტრაჟო სხდომა შპს „ნოვა კრედიტი”-ს სარჩელზე – სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით ბესარიონ კობერიძის მიმართ.

5. გიორგი დევდარიანს ეცნობოს, თუ ის არ გამოცხადდება საარბიტრაჟო სხდომაზე, ვალდებულია არბიტრაჟს აცნობოს გამოუცხადებლობის მიზეზი. თუ დადგენილი წესით გაფრთხილებული მხარე არ გამოცხადდება არბიტრაჟში, არბიტრაჟი უფლებამოსილია მის დაუსწრებლად განიხილოს საქმე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მეორე მხარე ითხოვს საქმის გადადებას.

6. განემარტოს მოპასუხეს მხარეს, რომ საარბიტრაჟო გზავნილი და უწყება მასზედ ჩაბარებულად ითვლება წინამდებარე დადგენილების გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

7. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილება გამოქვეყნდეს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკა”-ში მოსარჩელე მხარის ხარჯით.

8. საარბიტრაჟო დადგენილებაზე საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

არბიტრი: ქეთევან ტაბატაძე

◎ ფიგურული ციგურაობა

მართლაც პირველად

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში მინისტრ ლევან ყიფიანის და ფიგურული ციგურაობის ასოციაციის პრეზიდენტის მარიამ გიორგობიანის ერთობლივი პრესკონფერენცია გაიმართა. წლევანდელი სეზონი ქართველმა მოციგურავეებმა ღირსეულად დაასრულეს და პრესკონფერენცია სწორედ აღნიშნულ მოვლენას მიეძღვნა.

ამ დღეებში ესტონეთში დასრულებულ საერთაშორისო ტურნირში ჩვენმა მოციგურავეებმა ორ ასაკობრივ კატეგორიაში (უფროსები და იუნიორები) იასპარეზეს და დიდ წარმატებას მიაღწიეს.

უკვე გაუწყეთ, რომ მოცეკვავეთა წყვილმა – ტატიანა კოზმავამ და ალექსანდრ ზოლოტარიოვმა უფროსებს შორის მეორე ადგილი დაიკავა, 140.67 ქულა დააგროვა და 2015-2016 წლებში გასამართი ევროპის და მსოფლიო ჩემპიონატების ლიცენზია მოიპოვა. წყვილმა მსოფლიო ჩემპიონატისთვის სავალდებულო 39 ტექნიკურ ქულას 8 ქულით გადააჭარბა.

იუნიორებში ასევე მეორე ადგილი დაიკავა არმენ აგაიანმა. მან 156,65 ქულა დააგროვა და უფროსთა შორის ევროპის ჩემპიონატის ლიცენზიას დაეუფლა. მარტში ის იუნიორთა შორის მსოფლიო ჩემპიონატზე გამოვა, რომელსაც ასევე ესტონეთი უმასპინძლებს. იმავე მსოფლიო ჩემპიონატზე იასპარეზებს კიდევ ერთი წყვილი – ანა რიაბინინა და მარკ კალინინი. თანაგუნდელთა მსგავსად, მათ ხსენებულ საერთაშორისო ტურნირზე მსოფლიო ჩემპიონატისთვის საჭირო ტექნიკური ქულები დააგროვეს.

ესტონეთის საერთაშორისო ტურნირზე იუნიორ გოგონათა შორის გამოვიდა ნია გადელიაც, რომელიც 41 მონაწილეს შორის მე-14 იყო. ჩვენი ფიგურული ციგურაობის ისტორიაში პირველად ევროპის ჩემპიონატზე ქართველი სპორტსმენები სამივე დისციპლინაში გამოვლენ.

აქვე შეგახსენებთ, რომ 2015-2016 წლების ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებზე ასპარეზობა გაინაღდა ჩვენი გუნდის ლიდერმა ელენე გედევანიშვილმა. მან ორივე ტურნირის ლიცენზია ოქტომბერში, ჩიკაგოს გრან-პრიზე მოიპოვა. ელენეს მხარდამხარ ლიცენზია აღებული აქვს ირაკლი მაისურაძესაც, რომელიც 2015 წელს ავსტრიაში გასამართ ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალზეც წარადგენს საქართველოს.

კოგა კოგახიძე

◎ მშვილდოსნობა

მოისართა აზერბაიჯანული ნადავლი

მასპინძლებთან ერთად საქართველოს, ისრაელის, თურქეთისა და რუსეთის ჩუბინები გამოდიოდნენ აზერბაიჯანის მშვილდოსნობის ფედერაციის თასის გათამაშებაში,

რომელსაც ბაქოს ოლიმპიური მზადების ცენტრმა უმასპინძლა. ეს შეჯიბრება გაისად გასამართი ევროპული თამაშების ერთგვარი რეპეტიცია იყო. სპორტსმენებმა 18-მეტრიან დისტანციაზე იასპარეზეს. ქართველებმა 6 მედალი მოინაგრეს – 2 ოქრო, 3 ვერცხლი და 1 ბრინჯაო. ქალთა პირად პირველობაში სამივე საპრიზო ადგილი ჩვენებს ხვდათ და გუნდურშიც ყველას აჯობეს: ინდივიდუალურში ოქროს მედალი საქართველოს მშვილდოსნობის ფედერაციის პრეზიდენტმა ხათუნა ნარიმანიძემ (ხელვაჩაურის სასპორტო სკოლა) მოიპოვა – ფინალში მან მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი ქრისტინე ესებუა (თბილისი) დაამარცხა. ბრინჯაოს მედალი იულია ლობჟანიძეს (ხელვაჩაური) ერგო.

ვაჟთა პირად პირველობაში 17 წლის თბილისელმა ვლადიმერ დოლიძემ მხოლოდ ფინალური პაექრობა დათმო და მეორე ადგილს დასჯერდა. მეორე ვერცხლის მედალი მას ხელვაჩაურელ ტარიელ ქადიძესა და ბათუმელ მამუკა შუშაძესთან ერთად გუნდურში ხვდა.

ქართველი ჩუბინები ევროპის ზამთრის ჩემპიონატისთვის ემზადებიან, რომელიც გაისად 24-28 თებერვალს სლოვენიურ კოპერში გაიმართება. 2015 წელს ქართველ მშვილდოსნებს ისევ მოუწევთ ბაქოში ჩასვლა, ამჯერად პირველ ევროპულ თამაშებზე. ამ ასპარეზობის საგზური ქალთა გუნდმა უკვე გაინაღდა, ხოლო ვაჟებში ჯერჯერობით ლიცენზია მხოლოდ ლაშა ფხაკაძეს აქვს, თუმცა დარჩენილი ორი საგზურის მოსაპოვებლად დრო კიდევ რჩება.

ლექსო ციწცაძე

◎ ჩოგბურთი

ფედერერი ავსტრალიის ღია პირველობის შემდეგ გადაწყვეტს

33 წლის როჯერ ფედერერმა წლეულს სადიდსლემო ტურნირი ვერ მოიგო, თუმცა, მთლიანობაში სეზონი მისთვის წარუმატებელი ნამდვილად არაა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მან შვეიცარიის ნაკრების შემადგენლობაში დევისის თასი მოიგო, რეიტინგსიაში კი მეორე საფეხურზე დამკვიდრდა. როჯერი მალე ახალი სეზონისთვის დაიწყებს მზადებას, 2015 წლის საასპარეზო გრაფიკი კი ჯერჯერობით არ დაუდგენია.

„საბოლოო გადაწყვეტილებას ავსტრალიის ღია პირველობის შემდეგ მივიღებ. ამის გაკეთებას დევისის თასის ფინალის შემდეგ ვაპირებდი, მაგრამ ახლა ინდოეთში ჩასატარებელ ტურნირზე ვარ კონცენტრირებული და სამომავლო გეგმის მოსაფიქრებლად დრო არ მაქვს. ისე კი, შემიძლია დავადასტურო, რომ ტრადიციულ განრიგს არ ვუღალატებ და ყველა მნიშვნელოვან ტურნირზე გამოვალ, ხოლო სხვა შეჯიბრებებზე ასპარეზობის საკითხს მოგვიანებით გადავწყვეტ“, – ფედერერის სიტყვები ბრიტანულ გამოცემა Sky Sports-ს მოჰყავს.

მანუჩარ გიორგაძე

◎ კალათბურთი

ბალკანური ნაფანგი

ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ეროვნული ნაკრების მეტოქეები ცნობილია. გუშინ პარიზის დისნეილენდში ევრობასკეტ 2015-ის კენჭისყრა გაიმართა, რომელმაც ტურნირის მონაწილე 24 ნაკრები ჯგუფებში გაანაწილა.

საქართველოს ეროვნული ნაკრები C ჯგუფში მოხვდა, სადაც ჩვენი მეტოქეები იქნებიან მასპინძელი ხორვატეთი, სლოვენია, საბერძნეთი, მაკედონია და ჰოლანდია. აქვე დავძენთ, რომ პირველად ევროპირველობის ისტორიაში კონტინენტის ჩემპიონატი, უფრო სწორად მისი ჯგუფური ეტაპი, ერთდროულად 4 ქვეყანაში იმართება, ფინალურ ეტაპს კი მათგან ერთ-ერთი – საფრანგეთი უმასპინძლებს.

საქართველო ჯგუფურ ეტაპზე ზემოთჩამოთვლილ გუნდებთან ერთად ხორვატეთის დედაქალაქ ზაგრებში იასპარეზებს. დანარჩენი 3 ჯგუფის სატჩები ლატვიის დედაქალაქ რიგაში, გერმანულ ბერლინსა და საფრანგეთის ქალაქ მონპელიეში გაიმართება. ცვლილება მოხდა გათამაშების ფორმატში: გაუქმდა მეორე ჯგუფური ეტაპი და ჩემპიონობისთვის ბრძოლა პირველი ჯგუფური ეტაპის შემდეგ მერვედფინალიდან გაგრძელდება. შესაბამისად, თითოეული ჯგუფიდან პლეიოფში უწინდელი 3-ის ნაცვლად 4 საუკეთესო გუნდი გავა.

საქართველოს. ეროვნული ნაკრების კალენდარი:

5 სექტემბერი. საქართველო – ჰოლანდია
6 სექტემბერი. სლოვენია – საქართველო
8 სექტემბერი. საბერძნეთი – საქართველო
9 სექტემბერი. მაკედონია – საქართველო
10 სექტემბერი. საქართველო – ხორვატეთი.

ჯგუფი A (მონპელიე)
საფრანგეთი, ფინეთი, ბოსნია, პოლონეთი, ისრაელი, რუსეთი.

ჯგუფი B (ბერლინი)
გერმანია, ესპანეთი, სერბეთი, თურქეთი, იტალია, ისლანდია.

ჯგუფი C (ზაგრები)
ხორვატეთი, სლოვენია, საბერძნეთი, მაკედონია, საქართველო, ჰოლანდია.

ჯგუფი D (რიგა)
ლატვია, ლიტვა, უკრაინა, ბელგია, ჩეხეთი, ესტონეთი.

მიხეილ გაბრიჩიძე: კენჭისყრის შედეგები ჩვენი ნაკრების ამბიციას უფრო მეტად აძლიერებს

პარიზში გამართულ ევრობასკეტის კენჭისყრას ესწრებოდნენ საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის ხელმძღვანელები – პრეზიდენტი მიხეილ გაბრიჩიძე, გენერალური მდივანი გიორგი ქართველიშვილი და ვიცე-პრეზიდენტი ვლადიმერ ბოისა.

კენჭისყრის დასრულების შემდეგ მიხეილ გაბრიჩიძემ შემდეგი კომენტარი გააკეთა:

– ვერ ვიტყვი, გაგვიმართლაო, შეიძლებოდა შედარებით ხელსაყრელ ჯგუფში მოვხვედრილიყავით. ხორვატეთთან ერთად ზაგრებში თავს კიდევ 2 ბალკანური ქვეყნის ნაკრები მოიყრის – სლოვენია და მაკედონია, რომლებსაც ქომაგები არ მოაკლდებათ. ეს ფაქტორი ძალიან უარყოფითია ჩვენთვის და თავისთავად ჯგუფის სხვა მონაწილეთათვისაც.

– რომელი ჯგუფი იქნებოდა ჩვენთვის უმჯობესი?

– ნებისმიერი სხვა, უფრო კი ლატვიის ჯგუფი, სადაც ასევე არიან ესტონეთი, ბელგია, ლიტვა, უკრაინა და ჩეხეთი. ჩვენ ამ ჯგუფში ჩეხეთის ნაცვლად მოვხვდებოდით, რაც უფრო ხელსაყრელი იქნებოდა.

– საკმაოდ ძლიერია საფრანგეთის ჯგუფი...

– შემადგენლობით საფრანგეთის ჯგუფი შესაძლოა ჩვენსაზე ძლიერი იყოს, თუმცა გავიმეორებ იმ ფაქტორს, რომელიც უკვე ვახსენე. ხორვატეთში სლოვენიაც და მაკედონიაც თავს მეტად კომფორტულად იგრძნობენ და ჩვენს წინააღმდეგ მატჩებში ფაქტობრივად მასპინძლებად ჩაითვლებიან.



– შანსებზე რას იტყვით, რამდენად რეალურია საუკეთესო 4 გუნდს შორის მოხვედრა?

– კენჭისყრის შედეგები სხვაა, ჩვენი ნაკრების ამბიციები – სხვა. უბრალოდ არ გაგვიმართლა, რაზეც ნერვიულობა და ბევრი ლაპარაკი არ ღირს. პირიქით, ამ შედეგებმა კიდევ უფრო უნდა გააერთიანოს და საბრძოლოდ განაწყოს ჩვენი გუნდი. მჯერა, ასეც იქნება. ჩვენი ნაკრები ჯგუფიდან გასვლისთვის იბრძოლებს და მჯერა, ამას მოახერხებს კიდეც, თუკი ტრავმირებული მოთამაშეები არ გვეყოლება და ევრობასკეტისთვის კარგად მოვემზადებით.

– ახლა მოსამზადებელი ეტაპის კარგად დაგეგმვას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება...

– კენჭისყრაზე ყველა ნაკრების წარმომადგენელი იმყოფებოდა. აქ არიან ევროპული კალათბურთის მაღალჩინოსნები და ჩვენ უკვე გავმართეთ შეხვედრები კონტინენტის წამყვანი ნაკრებების წარმომადგენლებთან და არა მარტო მათთან. არაერთი ქვეყნისგან წამოვიდა შემოთავაზება ევროპის ჩემპიონატის წინ მოსამზადებელი მატჩების გამართვასთან დაკავშირებით. თითოეულ ვარიანტს განვიხილავთ. აზრს სპეციალისტებს და, რა თქმა უნდა, ჩვენი ნაკრების მწვრთნელებს დავეკითხებით, რომლებიც საბოლოოდ გადაწყვეტენ, თუ რომელ ნაკრებთან გავმართავთ საკონტროლო მატჩებს.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ფეხბურთი

ნანი „ჩელსის“ წინააღმდეგ ვერ ითამაშებს

პორტუგალიის ეროვნული ნაკრების და ლისაბონის „სპორტინგის“ ნახევარმცველმა ლუიშ ნანიმ „ბოავიშტას“ წინააღმდეგ ეროვნული პირველობის მე-12 ტურის მატჩში მუხლქვედა მყესების ტრავმა მიიღო და დღევანდელ შეხვედრას ჩემპიონთა ლიგაზე ლონდონის „ჩელსის“ წინააღმდეგ გამოტოვებს.

ჯერჯერობით უცნობია, თუ რა სიმძიმის ტრავმა აწუხებს პორტუგალიელ შემტევს და რამდენი ხანი მოისაკლისებს მას „სპორტინგი“.

მიმდინარე სეზონში „მანჩესტერ იუნაიტედიდან“ განათხოვრებული ფეხბურთელი საკმაოდ შედეგიანად ასპარეზობს. პორტუგალიის პრემიერლიგასა და ჩემპიონთა ლიგაზე ნანიმ 15 მატჩი ჩაატარა, გაიტანა 6 გოლი და ხუთ საგოლე გადაცემასაც მოუყარა თავი.

გიორგი შოთაძე

◎ გამოიცა

წამებული ამბროსი ხელაია

ბიოგრაფიულ-დოკუმენტური პროზის სახით მკითხველმა მიიღო ახალი ნაშრომი „წამებული პატრიარქი ამბროსი“, რომლის ავტორია მწერალი ბორის დავითაია გახლავთ. ავტორმა საპატიო მოვალეობად მიიჩნია გაეცოცხლებინა კომუნისტური ყოფისთვის მიუღებელი საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ამბროსი ხელაიას ცხოვრება და მოღვაწეობა. პატრიარქის არა მხოლოდ საარქივო მასალები იყო ტაბუდადებული, არამედ იდევნებოდნენ წმინდა ამბროსის ნათესავები და ახლობლები. ცნობების სიმწირის გამო ადრე გამოქვეყნებულ მასალებში გაიპარა ბევრი უზუსტობა.



გმირებს არ ივიწყებენ. გმირები არიან ყველა სფეროში. წმინდა ეკლესიის წიაღშიც. ამიტომ იყო, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 26 ოქტომბრის ბრძანებით აღმსარებელ ამბროსის მიენიჭა საქართველოს გმირის წოდება.

საქართველოს წმინდანთა ცხოვრება, სარწმუნოებისა და მამულის ერთგულებითაა გაჯერებული. ამაში გვარწმუნებს გიორგი მთაწმინდელის, პეტრე იბერის, თედორე მღვდლის, კირიონ-2-ისა და უამრავ სხვათა სიბრძნე და სიმამაცე.

საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ამბროსი ხელაიას ცხოვრება და საქმიანობა არის ღირსებისთვის წამებული ადამიანის ხატება. მან იღვაწა არა მხოლოდ სულიერი კანონებით, არამედ მე-20 საუკუნის 20-იან წლებში ღირსეულად ატარა პატრიარქის მანტია. თამამად გაუსწორა თვალი ავ ბედისწერას. მაშინ, როცა შეეძლო მშვიდად ეცხოვრა, არ იკადრა მიტმასნილთა დამცირებული ხვედრი გაეზიარებინა და უპირველესმა აღმართა პროტესტის ჯვარი. ის სავსებით შეგნებულად შეუდგა გოლგოთის გზას.

ცხადია, მისი სულიერი მრწამსი შეუთავსებელი შეიქნა იმჟამინდელი ყოფისთვის, რამაც წინააღმდეგობის ვულკანი შვა. ეს ვულკანი შმაგი ძალით ეკვეთა წითელი ყოფის უხეშ ჯეიერებს და თუ ვერ გაანგრია, მოარყია ის, შვა შემდგომი ვულკანური ბიძგები. ამით მოგვცა მაგალითი იმისა, თუ როგორ უნდა იქცეოდეს ჭეშმარიტი მამულიშვილი.

წიგნს მწერლური წარმოსახვაც ავსებს. ბ. დავითაიამ მოიძია ისტორიული წყაროები და ნათესავთა მოგონებები. ისინი გაეთბო საკუთარ უბეში და ისე შეეთავაზებინა მკითხველისათვის.

შესავალში მწერალი მადლობას მოახსენებს ყველა მკვლევარსა და შემოქმედს, რომელთა ნაშრომებზე დაყრდნობითაც შესაძლებლობა მიეცა შეედგინა მეტ-ნაკლებად შევსებული და გადამუშავებული ავტობიოგრაფიული წიგნი.

308-გვერდიანი ნაშრომი, რომელსაც ერთვის ილუსტრაციები, პოლიგრაფიულად კარგად არის გამოცემული.

რევაზ გრიგალავა,
ჟურნალისტი.

ქართული ენციკლოპედიის ირ. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია იუწყება, რომ გარდაიცვალა რედაქციის ყოფილი თანამშრომელი, წამყვანი სამეცნიერო რედაქტორი

თინათინ აფაქიძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ვახტანგ, გიორგი, დალი ბერულავები, ზიზი ანთელავა, თეა ვახანია, ლეო, გიორგი ჩიქავები ღრმა მწუხარებით იუწყებიან აფხაზეთის გამორჩეული შვილის, ცნობილი ინტელექტუალის, ოჯახისა და მეგობრებისათვის თავდადებული პიროვნების

მერაბ დარსანიას

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

განცხადება

კომპანიის დასახელება: შპს „ტურელიტ გრუპი“
საიდენტიფიკაციო კოდი: 404979813
მოსაწვევი პირები: 1) ზაქირ ბაბაევი (აზერბაიჯანის მოქალაქე, პასპორტის ნომერი: AZE P3233083)
2) ნინო გაბეჩავა (საქართველოს მოქალაქე, პირადი ნომერი: 01019059580)
დღის წესრიგი:
1) პარტნიორების მიერ განხორციელებული შენატანის დადგენა;
2) საზოგადოების პარტნიორების მიერ შენატანის განხორციელება;
3) მშენებლობის მიმდინარე პროექტის განსაზღვრა.
სხდომის ჩატარების ადგილი: საქართველო, თბილისი, გუდიაშვილის მოედანი №4 (იურიდიული ფირმა ბი-ელ-სი-ს ოფისი)
სხდომის ჩატარების თარიღი და დრო: 2014 წლის 17 დეკემბერი, 14 სთ.

◎ ტესტი

არანაირი პრობლემა?

რამდენად კარგად შეგიძლიათ გაართვათ თავი ცხოვრებისეულ პრობლემებს? ეს რომ გაიგოთ, გაიარეთ ეს ტესტი.

1. უზიარებთ ამ პრობლემებს თქვენს მეგობრებს?
ა) არა.
ბ) გააჩნია ვითარებას.
გ) კი.

2. თქვენ „უმალვე“ არკვევთ ურთიერთობას იმასთან, ვინც გაწყენინათ?
ა) კი.
ბ) ყოველთვის არა.
გ) არა.

3. ჩვეულებრივად იკეტებით თავის თავში, თუ გაწყენინეს?
ა)არა.
ბ) ზოგჯერ.
გ) კი, ყოველთვის.

4. მიგაჩნიათ თავი იღბლიანად?
ა) კი
ბ) ყოველთვის არა.
გ) არა.

5. ბედნიერების მომენტებში თუ ფიქრობთ იმის შესახებ, რომ ეს დიდი ხნით არაა.
ა) არა.
ბ) ზოგჯერ.
გ) კი.

6. თუ გაწყენინებენ, გეცოდებათ თავი, გირჩევნიათ განმარტოვდეთ?
ა) არა.
ბ) ყოველთვის არა.
გ)კი.

7. ღრმად განიცდით ნებისმიერ უსიამოვნო მომენტებს თქვენს ცხოვრებაში?
ა) არა.
ბ) არა ყველაფერს და არა ყოველთვის.
გ) კი.

8. მიგაჩნიათ, რომ მხოლოდ ფსიქოლოგებს შეუძლიათ დაეხმარონ ადამიანს გადაეწყვიტოს ყველა თავისი პრობლემა?
ა) არა.
ბ) გააჩნია, რა პრობლემებია.
გ) კი.



შეხედეთ, როგორი პასუხებია თქვენთან ყველაზე მეტი და გაეცანით დასკვნებს

თუ ყველაზე მეტია პასუხი „ა“-ზე. თქვენ ძლიერი და გაბედული ადამიანი ბრძანდებით, რომელსაც შეუძლია გაუძლოს ბედისწერის დარტყმას და კარგად გაუძლოს უსიამოვნებებსა და უბედურებებს, სწორად შეაფასოს შექმნილი სიტუაცია. თქვენ ვერ შეეჩვიეთ იბუზღუნოთ თქვენს ცხოვრებაზე წარუმატელობის შემთხვევაშიც კი (ვის არ მოსვლია ასეთი რამ?!). თუმცა ყოველთვის დარჩე სრულ „მზადყოფნაში“ რთულია. ნუ გეშინიათ, ენდოთ თუნდაც ყველაზე ახლობელ ადამიანებს.

თუ ყველაზე მეტია პასუხი „ბ“-ზე. სურვილის შემთხვევაში თქვენ შეგიძლიათ გაუძლოთ ბევრ თქვენს პრობლემას, მაგრამ მათი გადაწყვეტისთვის მიმართავთ ნათესავებსა და თქვენთვის მახლობელ ადამიანებს. და ვინაიდან მათ იციან, რომ თქვენ მათ არ შეაწუხებთ უბრალო რამეზე, ყველაზე ხშირად ისინი სიამოვნებით მოდიან თქვენთან დასახმარებლად.

თუ ყველაზე მეტია პასუხი „გ“-ზე. თქვენ არ შეგიძლიათ თავი გაართვათ თქვენს პრობლემებსა და უბედურებებს. საინტერესოა, რომ ხშირად ისინი ჩნდება სწორედ თქვენი წუხილის გამო საკუთარი თავისადმი — ეს წუხილი გაწუხებთ თქვენ, არ გაძლევთ საშუალებას იმოქმედოთ ნორმალურად, იმუშაოთ, დაისვენოთ. როგორც ჩანს, თქვენ უპირატესობას ანიჭებთ ცურვას დინების მიხედვით, ვიდრე ბრძოლას ტალღებთან. „უბედური ადამიანის“ სახე, რასაკვირველია, ზოგჯერ მომგებიანია, მაგრამ მაინც არ ღირს მუდმივად აწუხებდე ირგვლივმყოფებს შენი პრობლემებით. დაიწყეთ საკუთარი თავისადმი რწმენის ამაღლება, იწამეთ თქვენი ძალები და შესაძლებლობანი — და მაშინ შეგეძლებათ თავადვე გაუსწორდეთ სიძნელეების უმრავლესობას.

◎ ისევ ლაფანყურის შესახებ

გამოძიებულის გამოძიებამ ახალი კითხვები გააჩინა

2012 წლის 26 აგვისტოს სოფელ ლაფანყურიდან 5 ახალგაზრდა გაუჩინარდა. იმდროინდელი ხელისუფლების იდეოლოგიურმა რუპორმა „რუსთავი-2“-მა მოსახლეობას „ახარა, რომ 28 აგვისტოს შსს-მ გამოავლიან და გაანადგურა ჩრდილოეთ კავკასიიდან საქართველოს ტერიტორიაზე შემოსული დივერსიული ჯგუფი. 29 აგვისტოს კი „გამარჯვებული ხალხის“ ტელევიზიამ ახალი ინფორმაციაც მოგვაწოდა იმის თაობაზე, რომ ჩვენი ძალოვანების მიერ განხორციელებული სპეცოპერაციის შედეგად დაიღუპა 2 შსს-ს თანამშრომელი და ამავე სტრუქტურის ექიმი და დივერსიული ჯგუფის 11 წევრი. ნაციონალების იმჟამინდელმა ხელისუფლებამ შექმნა კრიზისების მართვის სპეციალური შტაბი მაშინდელი პრემიერის, „ქვეყნის ხერხემლის“ (ამჟამად პატიმრობაში მყოფი) ვანო მერაბიშვილის თავკაცობით. მასში შედიოდნენ შს მინისტრი ბაჩო ახალაია (სასჯელმისჯილი), იუსტიციის მინისტრი ზურაბ ადეიშვილი (ძებნილი) და თავდაცვის მაშინდელი მინისტრი, დღეს უმუშევარი დიმიტრი შაშკინი.

სპეცოპერაციის გაშუქების იმდროინდელმა ვერსიამ ფართო საზოგადოების უკმაყოფილება და დაბნეულობა გამოიწვია, იმ დონემდე, რომ ახალი ხელისუფლების პირობებში, სახალხო დამცველის აპარატთან საჭირო შეიქმნა ე. წ. „ლაფანყურის საქმის“ შემსწავლელი საზოგადოებრივი საბჭოს ჩამოყალიბება. ეს მოხდა 2013 წლის 23 ოქტომბერს. მოკვლევის პროცესში უამრავი მოწმე თუ საქმეთან დაკავშირებული პირი დაიკითხა. საბოლოოდ ნანუაშვილის უწყებაში მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ შეიარაღებული ჯგუფის განადგურება მოხდა არა მისი ჩვენს ქვეყანაში შემოსვლის მომენტში, არამედ გასვლის დროს.

საბჭოს მუშაობის შედეგად გაჩნდა უამრავი კითხვა წინა ხელისუფლების მიერ ჩატარებული გამოკვლევების ირგვლივ. ყველაზე მთავარი ინფორმაციის დამალვაა. რატომ ცხადდებოდა, რომ ოპერაციის დროს დაიღუპა 11 ბოევიკი, როდესაც გარდაცვლილთა რაოდენობა 7-ია, რა მოსაზრებით არ ჩაუტარდათ ექსპერტიზა, როგორც ტერორისტად გამოცხადებულთა, ასევე 3 დაღუპული პოლიციელის გვამებს. ყველაზე დამაფიქრებელი კი ის არის, რომ ზოგიერთი იმ დროს საქმეში ჩახედულმა პირმა (მათგან ზოგიერთი დღესაც სხვადასხვა პოსტზეა) უარი თქვა ომბუდსმენის კომისიის მუშაობაში მონაწილეობაზე. თანამშრომლობაზე გაურკვეველი მოსაზრებებით განაცხადა უარი ახალაიას იმჟამინდელმა მოადგილემ გია ლორთქიფანიძემ.

საზოგადოებრივი საბჭოს მიერ მოძიებულმა მასალებმა უამრავი კითხვა წარმოშვა თვით ამ საბჭოს წევრებშიც. მათგან ერთ-ერთი, მამუკა არეშიძე სვამს კითხვას: შემდეგ ტერორისტებად შერაცხილები იმ დროინდელმა ხელისუფლებამ რა მიზნით ჩამოიყვანა საქართველოში მარტში, ხოლო აგვისტოში როგორ მოხდა მათი გააქტიურება. დროის ამ მონაკვეთში როგორ ახერხებდა 30-მდე შეიარაღებული პირი შსს-სათვის შეუმჩნევლად გადაადგილებას.

უშიშროების სამინისტროს ყოფილი თანამშრომლის, თადარიგის ვიცე-პოლკოვნიკ ოთარ მენაბდიშვილის დიდი ეჭვის საფუძველს ბადებს ის გარემოება, თუ როგორ მოახერხა „ტერორისტთა“ ჯგუფიდან მხოლოდ ერთმა კაცმა გაქცევა, თანაც ჯგუფის ლიდერმა, ორგანიზატორმა? რატომ არ გამოცხადდა მასზე იმ წუთსვე ძებნა და რა მიზეზით არ მოითხოვა ჩვენმა მხარემ თურქეთისაგან მისი დაკითხვა, როდესაც იგი ამ ქვეყნის სპეცსამსახურებმა „გრუ“-ს აგენტობის ბრალდებით დააკავეს. თადარიგის ოფიცერს ისიც აკვირვებს, რომ საქმის მასალებიდან ვერ ხერხდება გარკვევა იმისა, თუ ვინ ხელმძღვანელობდა ქართველი მხრიდან ოპერაციას — მერაბიშვილი თუ ახალაია.

ლაფანყურის საქმის საფუძვლიანი გაცნობის შემდეგ მამუკა არეშიძე საგულისხმო დასკვნას აკეთებს იმის თაობაზე, რომ დღევანდელი ხელისუფლების მაღალ ეშელონებში გარკვეულ ძალებს არ აწყობთ სპეცოპერაციის საქმის რეალური გამოძიება, რადგანაც ორგანიზატორებიცა და შემსრულებლებიც დღესაც ს თანამდებობებზე მუშაობენ. არადა, სამართლიანი ინფორმაციით დაინტერესებულია როგორც საზოგადოება, ასევე, უპირველეს ყოვლისა, გარდაცვლილთა ოჯახის წევრები, ნათესავები, ახლობლები, აცხადებს სახალხო დამცველის აპარატთან შექმნილი „ლაფანყურის საქმის“ შემსწავლელი საზოგადოებრივი საბჭოს წევრი, ექსპერტი კავკასიის საკითხებში მამუკა არეშიძე.

ზაზა ბილიხოძე

სიმდიდრის ათი საიდუმლო, რომლებზეც წიგნებში არ წერენ

1. საუკეთესო დრო წარმატებისთვის

არ არსებობს საუკეთესო დრო იმისათვის, რომ წარმატებული გახდეთ, სწრაფად შეიცვალოთ და სიმდიდრე მოაგროვოთ – ვიდრე ეს ახლა,

მოცემული მომენტია ის, თუ როგორ ცხოვრობთ დღევანდელ დღეს, განსაზღვრავს როგორ იქნებით მომავალში.

2. იყურეთ შორს

როცა რამეს ყიდულობთ, ყოველთვის შეაფასეთ ნივთი გრძელვადიანი ეფექტიდან გამომდინარე, ანუ დააკვირდით არა იმას, რამდენს დახარჯავთ ფორმალურად მისი შეძენისას, არამედ იმას, თუ რა რესურსს, რა კაპიტალდაბანდებას მოითხოვს ეს სამომავლოდ (არამარტო ფინანსურს, არამედ დროისა და შრომის მხრივ).

3. ფულისადმი არაჯანსაღი დმოკიდებულება

ბევრი ადამიანი ფულის მიმართ განიცდის ორ, ურთიერთსაწინააღმდეგო ემოციას – სიყვარულს და სიძულვილს. უყვართ იმიტომ, რომ შეუძლიათ ფულით შენაძენის გაკეთება და დადებითი ემოციების მიღება. სძულთ, რადგან მათი უკმარისობის დროს უჩნდებათ შეგრძნება, რომ ფული მართავს მათ ცხოვრებას. თუ ფული არ არის, ადამიანები სესხულობენ ან კრედიტს იღებენ. უარი თქვით ემოციურ შენაძენებზე და საკრედიტო ბარათებზე.

4. არასწორი პროგრამირება

ადამიანების უმეტესობა ფულს ფასეულობად თვლის. ეს ასე არ არის. ფული – უბრალოდ ქაღალდია. თუ თქვენ მიზნად ისახავთ: „მინდა მილიონი დოლარი“ – ეს უაზრობაა. სინამდვილეში თქვენ ამბობთ, რომ გინდათ ქაღალდების გროვა. გააკეთეთ ისე, რომ მიზანი იყოს რეალური და არა ის, რომ უბრალოდ ფული გინდათ. სწორედ ამიტომ, მდიდარი ადამიანები არასოდეს ინახავენ ქონებას ფულადი სახით.

5.ფული vs ფასეულობა

ფული თავისით იზრდება, როცა ჩვენ ფოკუსირებას ვაკეთებთ ფასეულობის შექმნაზე. აუცილებელია ფასეულობის შექმნის სწავლა, რომლის საჭიროებაც აქვთ სხვებს. აი, მაშინ თქვენ შეძლებთ კარგი თანხის გამომუშავებას. რატომ ხდება, რომ ბევრმა ადამიანმა, რომელმაც ფული ლატარიაში მოიგო, მალევე დაკარგა? იმიტომ, რომ არ იცოდნენ ფასეულობის შექმნა და არც შეუქმნიათ ის.

6. როგორ არ უნდა იფიქროთ

თუ თქვენს გარემოცვას უარყოფითი დამოკიდებულება აქვს ფულის მიმართ, ამბობენ, რომ ფული არის სიავე, ხოლო სიმდიდრე აფუჭებს ადამიანებს – ქვეცნობიერი პროგრამირდება სიმდიდრის მიღწევის საწინააღმდეგოდ. ასეთი მიდგომა უნდა შეიცვალოს.

7. შენაძენის შეფასება

ერთ-ერთი მავნე ჩვევათაგან არის ის, რომ ჩვენ რეალურად არასოდეს ვითვლით რა ღირს სინამდვილეში შენაძენი. არ ვითვლით რამდენი დრო, ენერგია და შრომა დაგვჭირდება იმისათვის, რომ თავს ასეთი შენაძენის გაკეთების უფლება მივცეთ. გამოიმუშავეთ წესად შენაძენის გაკეთებამდე ამა თუ იმ ნივთის შეფასება. დაფიქრდით, რამდენს გამოიმუშავებდით ამ თანხის გონივრულად ინვესტირებით.

8. ფულის გამოყენება ფული ღირს

ფინანსური ოპერაციები, რომლებსაც ჩვენ ვახორციელებთ, ფული ღირს – ბანკები იღებენ საკომისიოს. ბევრი ადამიანი ამას ყურადღებას არ აქცევს, არადა, ეს მსხვილი თანხაა საბოლოო ჯამში. მზად ხართ, რომ სამუშაო დღის 15%-ზე მეტი მოანდომოთ იმის გარკვევას, თუ რომელ ბანკომატში ხსნით ფულს?

9. წარმატებული ადამიანები ქონებას ფულად სახსრებში არ ინახავენ

მდიდარ ადამიანებს აქვთ აქტივები, ღარიბებს – კრედიტები, ვალები და ვალდებულებები. ქონება უნდა შეინახოთ აქტივებში იმიტომ, რომ დაიცვათ ის ინფლაციისგან.

10. ინვესტიცია ჩადეთ საკუთარ სწავლაში

სწავლა – თქვენი ყველაზე ფასეული აქტივია. ახალი უნარების შეძენით, თქვენ შეძლებთ უფრო მეტი გამოიმუშაოთ. ან შეისწავლეთ ბიზნესუნარები და გააკეთეთ ისე, რომ თქვენ კი არ გამოიმუშავებდეთ, არამედ სხვები გამოიმუშავებდნენ თქვენთვის.

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 299-62-77; 568 82-09-84..

◎ ხუმრობით ყურადსაღები

„მოდით, მეგობრულად ვიცხოვროთ!“

გატონო ვლადიმერ ვლადიმერის ძევ, თქვენ დიდი იმპერიის წინამძღოლი ბრძანდებით. შეგწევთ ძალა მართოთ ქვეყნის სადავეები, მაგრამ ერთი რამ მსურს, გირჩიოთ, შეეშვით სხვისი მიწების მიტაცებას. ამის უფლება არავის აქვს, მით უმეტეს, თუ გაძარცული ქვეყანა ერთმორწმუნე, მეზობელი და თქვენი ქვეყნის ტერიტორიის, თითქმის მესამედია. ვიცი, თქვენ იმპერიული ინტერესები გამოძრავებთ, მაგრამ უკვდავი არავინ ვართ, არც ამ გარათის ავტორი და არც თქვენ. ასე რომ, არც აფხაზეთს და არც სამაჩაბლოს არავინ ჩაგაყოლებთ საფლავში. ამიტომ, ჯობს ისე ვიცხოვროთ ურთიერთმეგობრულად, როგორც რუსული ანიმაციური ფილმის გმირი კატა ლეოპოლდი ამუნათებს ონავარ თაგუნიებს – „Ребята, давайте жить дружно!“



ეს გამოსავალი ყველას სჯობია.

პატივისცემით
თენგიზ თომაძე

რედაქციისაგან: კულტურის დამსახურებული მუშაკი, პოლიგრაფისტი თენგიზ თომაძე დღეს იუბილარია – 75 წელი შეუსრულდა. ვულოცავთ!

◎ იურიდიული კონსულტაცია

კითხვა: სამართლებრივად როგორ გადაწყდება ქონების დაბრუნების საკითხი იმ შემთხვევაში, როცა გარდაცვლილად გამოცხადებული პირის ქონება გადაეცა სახელმწიფოს, რომელმაც მოახდინა მისი რეალიზაცია, მაგრამ შემდეგ ეს პირი ცოცხალი აღმოჩნდა?
მურმან ნადიბაიძე

პასუხი: თუ გარდაცვლილად გამოცხადებული პირის ქონება გადაეცა სახელმწიფოს და მან მოახდინა მისი რეალიზაცია, გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ გადაწყვეტილების გაუქმების შემდეგ პირს უბრუნდება ქონების რეალიზაციით მიღებული თანხა.

* * *

კითხვა: დანიშნული მაქვს სახელმწიფო კომპენსაცია. მომეცემა თუ არა იგი საჯარო სამსახურში მუშაობის დაწყების შემთხვევაში?
ქრისტინე ბოხუა

პასუხი: არა, არ მოგეცემათ – პირს, რომელსაც დანიშნული აქვს სახელმწიფო კომპენსაცია, მისი მიღება უწყდება საჯარო საქმიანობის დაწყების დღიდან, მისი განხორციელების მთელ პერიოდში.

* * *

კითხვა: გთხოვთ, განგვიმარტოთ, რა შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს პირი უგზო-უკვლოდ დაკარგულად და გარდაცვლილად?
ვახტანგ ზვიადაძე

პასუხი: დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე ფიზიკური პირი შეიძლება სასამართლოს გადაწყვეტილებით აღიარებულ იქნეს უგზო-უკვლოდ დაკარგულად, თუ მისი ადგილსამყოფელი უცნობია და ორი წლის მანძილზე იგი არ გამოჩენილა თავის საცხოვრებელ ადგილას. აგრეთვე, თუ იგი უგზო-უკვლოდ დაიკარგა ისეთ გარემოებაში, რომელიც მას სიკვდილს უქადდა ანდა სავარაუდოა მისი დაღუპვა რაიმე უბედური შემთხვევის გამო და ასეთი ცნობები ექვსი თვის განმავლობაში არ მოიპოვება. გარდაცვლილად პირს სასამართლო გამოაცხადებს იმ შემთხვევაში, თუ მის საცხოვრებელ ადგილას ხუთი წლის განმავლობაში არ მოიპოვება ცნობები აღნიშნული პირის ადგილსამყოფელის შესახებ.

აქვე გაცნობებთ, რომ სამხედრო მოსამსახურე ან სხვა პირი, რომელიც უგზო-უკვლოდ დაიკარგა საომარ მოქმედებასთან დაკავშირებით, შეიძლება სასამართლოს წესით გამოცხადდეს გარდაცვლილად არა უადრეს ორი წლის გასვლისა საომარი მოქმედების დამთავრების დღიდან.

რუბრიკას უძღვება „საქართველოს რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი

◎ ცინცხალი ანეკდოტები

მიხო ექიმთან ვიზიტის შემდეგ ძალიან აფორიაქებული დაბრუნდა სახლში.

– რა გითხრა ექიმმა ისეთი, ასე რომ ჩამოგტირის ცხვირ-პირი? – ეკითხება ცოლი.

– ყველაფერი ცუდადაა: ექიმმა ტაბლეტები მომცა და მითხრა, მთელი ცხოვრება უნდა სვაო.

– და მერე რა არის ამაში საშიში?

– ის, რომ მან მხოლოდ შვიდი ცალი ტაბლეტი მომცა.

* * *

არასწორია, რომ ამბობენ, ფულთან განშორება ძნელიაო.

ბევრად ძნელი მასთან შეხვედრაა!

* * *

ჩემმა ცოლმა, როგორც იქნა, ისწავლა კერძების მომზადება. ახლა ჩემი ჯერია – უნდა ვისწავლო მისი მომზადებული კერძების ჭამა.

* * *

– **მაპატიეთ**, ხომ ვერ მასწავლით, როგორ მივიდე ნათელ მომავალთან?

– მაგაზე იოლი რა არის! როგორც კი ჰორიზონტს გასცდებით, მაშინვე მარცხნივ გადაუხვიეთ.

* * *

– **გოგონი**, შესანიშნავად გამოიყურებით.

– გმადლობთ.

– პირველ აპრილს გილოცავთ!

* * *

– **შენს** მშობლებს მულტფილმებისა ეშინიათ?

– ვგონებ, არა.

– აი, ჩემებს კი ეშინიათ! როგორც კი დაიწყება მულტფილმი, მაშინვე საბანს გადაიფარებენ და ცახცახებენ და რას ცახცახებენ...

◎ კადრი

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ქოზულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24